ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2013 №240 (6241) ფასი: 30 თეთრი

8 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“
+
ეს სამყარო
მტაცებლები
10 ლარი




## ვანო მერაბიშვილი: „ჩვენ ნინო ბურჯანაძისა და ბადრი ბიწაძის დაკავების უფლება გვქონდა“



გვ.3

## ნანა კაკაბაძე: „კანონიერი ქურდები საქართველოში აღარ არიან“

რატომ არ უშვებენ უფლებადამცველებს ციხეში?!



გვ.5

## რუსები საერთაშორისო თანამეგობრობას სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებისკენ მოუწოდებენ გვ.3



### კახა ძაგანია: „ოლიმპიადაში ფარული პოლიტიკური ნაღმია, რომელიც სოჭში აფეთქდება“

გვ.4



გვ.2

### ფიქრია ჩიხრაძე: „ივანიშვილს ბევრი ფული აქვს და სხვა გადმოსახედიდან იყურება“



გვ.4

### ბიძინა ივანიშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა

### ხუთი შეკითხვა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს

გვ.5



მურმან ქურიძე

### „ჩვენი პროტესტის ადრესატი პირადად პუტინია!“

გვ.6






### სასწრაფო დახმარება სახელმწიფო მართვაში გადადის

გვ.7

ISSN 1987-9385

7 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს წახალისებას ალუდგენენ

4 გააიაფეთ ავტობუსით მგზავრობა!

7 „საბას“ მოვაჭრეები ზარალის ანაზღაურებას სარეზერვო ფონდიდან ითხოვენ?

4 ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი დააკავეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ფიქრია ჩიხრაძე: „ივანიშვილს ბევრი ფული აქვს და სხვა გადმოსახედიდან იყურება“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძესთან

***— როგორია „ახალი მემარჯვენეების“ პოზიცია სოჭის ოლიმპიადის ირგვლივ არსებულ ვითარებაზე?***

— ჩვენი პოზიცია სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით დიდი ხანია ცნობილია, „ოლიმპიადაში მონაწილეობა ძლვენი რუსეთისთვის“ ამ სათაურით სტატიაც გამოვაქვეყნე და პრესკონფერენციაც გავმართე, ჩანდა, რომ რუსეთს ფეშქაშად ვუძღვნიდით ჩვენს მონაწილეობას ამ ოლიმპიადაზე, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები, ოლიმპიადის ინფრასტრუქტურა მათ მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზეა განლაგებული, ბევრი ღონისძიება დაგეგმილია აფხაზეთის ტერიტორიაზე. კიდევ ბევრი სიურპრიზი იქნება, რომელიც ჩვენ არ ვიცით. ოლიმპიადების ისტორიიდან ვიცით, რომ ყველა მეტნაკლებად პოლიტიკური პროტესტებით იყო დატვირთული. იყო პერსონალური პროტესტებიც და ეს ახალი მოვლენა არ არის. საქართველომ თავისი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს სოჭის ოლიმპიადაში. დიდი მოლოდინი გამარჯვებებისა არ უნდა გვქონდეს ზამთრის სახეობებში, ამაზე მეუბნებოდნენ სპეციალისტები, შეიძლება ადამიანმა მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიური დროშის ქვეშ, ის, რომ არ გვქონდეს რეაქცია იმაზე, რაც მოხდა მანამდე, ახლაც რაც ხდება ამაზე, გაურკვეველია. ჩვენ ამ მავთულხლართებზე რეაქცია არ გამოვხატეთ. ეს უცნაურად მეჩვენება, მაგრამ რეაქცია გვაქვს იმ მეჩირალდნეზე, რომელიც იყო აგვისტოს ომის გმირი თურმე რუსეთისთვის. დიდ პოლიტიკურ დატვირთავს ანიჭებს რუსეთი ამ ჩირალდნის ფაქტორს, ჩვენთვის ეს სერიოზულად წასაკითხი მესიჯია. ის, რაც ხდება ცხინვალის რეგიონში, არის შემდგარი ფაქტი, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო პროტესტი შედგა ამ საკითხთან დაკავშირებით, სპორტსმენები, ისევე როგორც ხელოვნები, ამ ქვეყნის შვილები არიან, მოქალაქეები და მათაც მოეთხოვებათ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გარკვეული პოზიციის ქონა. ოლიმპიურ კომიტეტს ეტყობა, რომ რასაც ხელისუფლება გადაწყვეტს, იმას გააკეთებს. სპორტი არასოდეს იყო პოლიტიკისგან დაცლილი, მით უმეტეს, ამ ვითარებაში, რუსეთი ამას იყენებს პოლიტიკურ იარაღად, პუტინი ამას ასე არქმევს და ეს ოლიმპიადა მისი პირადი ამბიციური პროექტია. ბუნებრივია, უსაფრთხოების საკითხები დაცული უნდა იყოს ამ ოლიმპიადიაზე იმიტომ, რომ არავის სჭირდება დაძაბულობა და არეულობა, მაგრამ ერთია, ეს თემა და მეორეა სახელმწიფოებრივი ღირსების თემა. როცა მეუბნებიან, მარტო დავრჩებით ამ პროტესტშიო, კი დავრჩებით მარტო იმიტომ, რომ ეს ტერიტორიები შენი ქვეყნისაა. მთელი საერთაშორისო საზოგადოება ბევრად უფრო მკაფიო პროტესტს გამოთქვამს, ვიდრე ჩვენი ხელისუფლება.

***— რა სარგებელი შეიძლება მიიღოს საქართველომ ამ ოლიმპიადაში მონაწილეობისგან?***

— სპორტულ მოგებას თავი დავანებოთ, არ ვართ ამის სპეციალისტები, ამაში კომპეტენტურები არ ვართ, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ დიდი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ხელისუფლება გვეუბნება, რომ ჩვენ არ უნდა წამოვეგოთ პროვოკაციებს. რუსეთის მხრიდან ხდება პროვოკაციები, თურმე არ უნდა დავაზიანოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. ვიღაცა სხვა რომ მართავდეს პროვოკაციებს, რომ არ დავუახლოვდეთ რუსეთს, გასაგები იქნებოდა, მაგრამ თავად რუსეთი მართავს ამ პროვოკაციებს. ასეთ დროს, მაპატიეთ და ჩვენი მთავრობა არანორმალურის მდგომარეობაში გამოდის. მესმის, რომ კონფრონტაციული მდგომარეობა არ უნდა გქონდეს მეზობელთან, მაგრამ ამავე დროს ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ ჩვენი ყველას გავაგებინოთ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, რომ სახელმწიფოებრივი ღირსება გაგაჩნია, რომ მზად ხარ, შენი სახელმწიფოს ინტერესებისთვის იბრძოლო, რაოდენ რთულიც უნდა იყოს ეს. დღეს გვეუბნებიან, რომ რთულია ჩვენი ინტერესებისთვის ბრძოლა და ამიტომ უნდა გავჩერდეთ და არ გავაღიზიანოთ რუსეთი. სხვა არგუმენტები მე არ მომისმენია.



***— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ძალით ვეტენებით რუსეთს და რუსეთი არ გვიღებს. ეს ვითარება როდემდე უნდა გაგრძელდეს, მით უმეტეს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ონიშენკომ მორიგი პარტია ქართული ღვინოებისა დაიწუნა და მოგვიყარა უკან?***

— ონიშენკოს უწყება იმისთვის არის, რომ პოლიტიკური ბერკეტის ფუნქცია შეასრულოს რუსეთის ხელისუფლებისთვის. ეს იცის ყველამ. ეს ბაზარი ჩვენთვის მაშინ ჩაიკეტა, როცა რუსეთს ეს პოლიტიკურად დასჭირდა. ასევე დაიკეტა მოლდოვასთვის, ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვისაც. უკრაინაზე ცალკე ვისაუბრებ იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა შეიქმნა თანამედროვე უკრაინის სახით, პოლონეთის მაგალითს გეტყვით, მას ჩვენნაირი პრობლემები არა აქვს, თანაც ევროპის ორგანული ნაწილია ყველა მიმართულებით, როგორც კი პოლონეთის ახალმა ხელისუფლებამ შეარბილა რუსეთთან ურთიერთობები, მაშინვე ამოქმედდა პოლიტიკური ბერკეტები და აეკრძალა პოლონეთს გარკვეული სახის პროდუქციის შეტანა რუსეთის ტერიტორიაზე. რუსეთთან არ ჭრის დათმობების ენა.

***— რატომ არის ალოგიკური რუსეთის პოლიტიკა?***

— ეს ასეთი მოცემულობაა.

***— თუ მონა ხარ, ბოლომდე უნდა განერთხე მიწაზე?***

— გინდა იმპერიალისტური აზროვნების გადმონაშთი დავარქვათ ამას, გინდა — რუსული პოლიტიკის ლამის გენეტიკურად ქცეული თავისებურება, ამისგან რუსეთი თავისუფალია, ნავალნიც კი რუსეთის დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი სხვა ქვეყნებთან მიმართებაში ავლენს ამ იმპერიალისტურ აზროვნებას. არ უნდა ვიზარალოთ ამ მოცემულობით და კონფრონტაცია მინიმუმამდე დავიყვანოთ. უკრაინაში მოსახლეობის ნახევარი რუსული წარმომავლობისაა, იანუკოვიჩი რუსეთის მიერ მოწონებული და ხელდასხმული პრეზიდენტი იყო, დღეს უკრაინა აღმოჩნდა ავანგარდში ევროკავშირისთვის ბრძოლაში. იქ ანტირუსული კამპანია დაიწყო. რუსეთი ყველა სახელმწიფოს სთხოვს ისეთ რამეს, რაც შედის მხოლოდ მის იმპერიულ ამბიციებში და არ შედის იმ კონკრეტული ქვეყნის ინტერესებში. უკრაინას სთხოვეს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამოსვლა, მხოლოდ საბაჟო კავშირში შესვლა და შემდეგ უკვე ევრაზიულ კავშირში შესვლა. სულ რომ პრორუსული იყო, რაღაცა დოზა პატრიოტიზმისა არსებობს იმ ქვეყნის წინაშე, რომელსაც შენ, როგორც ხელისუფალი, წარმოადგენ. ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ არა მაქვს ქართველი პოლიტიკოსების იმედი, მაგრამ მაქვს რუსი პოლიტიკოსების იმედი იმიტომ, რომ რუსები ისეთ პარადოქსულ მოთხოვნებს დააყენებენ, როგორც უნდა სურდეს ქართველ პოლიტიკოსს სერიოზულ დათმობებზე რუსეთთან წასვლა, მაინც ვერ გააკეთებს იმას, რასაც რუსეთი მოითხოვს. რუსეთმა ზღვარი არ იცის. თუ მასთან დათმობაზე მიდიხარ, ბოლომდე უნდა დაგაჭიროს წიხლი. თუ არის რუსეთისადმი ლოიალუარი დამოკიდებულება, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ არის ნაცმოძრაობაზე გაბრაზების ეფექტი და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ეფექტი. მაინც ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დასავლეთის არჩევანის მომხრეა, ვიდრე ჩრდილოურის. კონკრეტულ ადამიანს რომ ჰკითხო, სადაური ტანსაცმელი აირჩიოს, იტყვის, რომ ევროპული უნდა და არა რუსული, ანუ უფრო ხარისხიანს მიანიჭებს უპირატესობას. გარანტირებული რუსეთთან ურთიერთობაში ის გვაქვს, რაც ვიცით მთელი ორასწლიანი ურთიერთობის განმავლობაში.

***— გაქტიურდნენ რუსული ორიენტაციის ძალები საქართველოში, მათ მოზღვავებას ვხედავთ, მაგალითად, ჩამოვიდა ლევან პირველი, თემურ ხაჩიშვილი და ვალერი ხაბურძანია. ხაბურძანია და ხაჩიშვილი ახლა უკვე საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან, მანამდე ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება იყო მათი გეგმა. ხაჩიშვილი პენსიონერებს სამასი დოლარის ეკვივალენტის პენსიას ჰპირდება თუ ევრაზიულ კავშირში შევალთ. როგორ აფასებთ ამ პროცესებს?***

— ეს არის ორი ადამიანის პოლიტიკის ბრალი, სააკაშვილის მმართველობის ცხრაწლიანი პერიოდის ბრალი და ივანიშვილის ბრალი, იმდენად ექსკლუზიურად წარმოაჩინა სააკაშვილმა დასავლური ორიენტაცია, რომ ხალხის გაბრაზებას მოჰყვა გაბრაზება დასავლეთზე, ვაკრიტიკებდით სააკაშვილს იმის გამო, რომ ამას შეიძლება გამოეწვია გაუცხოება დასავლური ფასეულობების მიმართ. ივანიშვილმა კი ჯინი ამოუშვა ბოთლიდან. ამან გამოიწვია პოლიტიკოსების მოზღვავება, რომელთა დაპირებები არავითარ ლოგიკაზე არ არის დამყარებული მხოლოდ იმ სტერეოტიპზეა დამყარებული, რომ თუ რუსული ორბიტის პოლიტიკოსი ხარ და რუსეთის მომხრე ხარ, რუსეთი დაგეხმარება ხელისუფლებაში მოსვლაში. თუმცა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც რუსეთმა ვერ მოახერხა ხელისუფლებაში საკუთარი კანდიდატურების გაყვანა. რუსეთი რომ დაუნიშნავს პენსიებს, ეს თავხედური თამაშია გაჭირვებული ადამიანების ემოციებზე, მაშინ გავაუქმოთ საქართველო და მივუერთდეთ რუსეთს. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ თავადვე დაუნიშნოს ადამიანებს ღირსეული პენსიები და ხელფასები. რუსეთი ვერაფერს იგებს ამ საბაჟო კავშირით, იგებენ ის ოლიგარქიული წრეები რომლებიც მართავენ რუსეთს. რატომ უნდა ვიყოთ ორიენტირებული იმაზე, რომ ამ ოლიგარქებმა გაიმარჯვონ მხოლოდ და არა სახელმწიფოებმა. ევრაზიული კავშირი კი აუხდენელი ოცნებაა.

***— უსუფაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო რუსეთთან აღარ ჩაერთვება მასშტაბურ სამხედრო კონფლიქტში, რომ ეს გამორიცხულია, რატომ არის ასე დარწმუნებული ამაში პარლამენტის თავმჯდომარე?***

— მე მიკვირს ასეთი განცხადებები ისეთი პოლიტიკოსებისგან, რომლებსაც ვიცნობ. ვინ ითხოვს ფართომასშტაბიან კონფლიქტში ჩართვას რუსეთთან? საქართველოს ხელისუფლების კონსტიტუციური მოვალეობაა, რომ საკუთარი მოსახლეობის უფლებები დაიცვას, ეს ფაქტია. მძიმე განცხადებაა ივანიშვილის მხრიდან, რომ მას სად სცალია დვანსა და დიცში ჩასასვლელად, ივანიშვილის ჩასვლა სხვა რეგიონების სოფლებში ტოლფასი არ არის დვანსა და დიცში ჩასვლისა, იქ უნდა ჩავიდეს ივანიშვილი, იქაურ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ხელისუფლება მათ გვერდით არის და მათ ინტერესებს იცავს, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის დაგვენახებინა რომ ფოკუსირებული ვართ ამ პრობლემაზე, პარადოქსულია რომ ნატოს წარმომადგენლობა აკეთებს განცხადებას, ასევე ევროკავშირი, დიპკორპუსი თავისი ინიციატივით ჩადის ამ სოფლებში, ეს არის პრობლემაზე ფოკუსირებისთვის გაკეთებული და არა პოპულიზმისთვის. თუ ამასაც არ აკეთებს ხელისუფლება, მაშინ რაზე არის ორიენტირებული?

***— უსუფაშვილმა ნაციონალებს უპასუხა, რომლებიც მართლაც პარადოქსულია, მაგრამ უფრო პატრიოტულად და ქვეყანაზე მზრუნველებად ჩანან, ვიდრე ხელისუფლება, სამწუხაროდ.***

— ნაცმოძრაობას ბევრი პრობლემა აქვს, მე ეს სოფლები ფეხდაფეხ მაქვს შემოვლილი. ჩვენ ვაკრიტიკებდით ნაციონალებს იმის გამო, რომ საზღვრისპირა სოფლები უყურადღებოდ ჰქონდათ მიტოვებული. მაშინაც მოქცეული იყო საზღვრის იქით ადამიანების საძოვრები და მიწები, ახლა პირდაპირ სახლებზე გადაიარა ამ მავთულხლართებმა. თავისი წონა დანაშაული ნაცმოძრაობასაც მიუძღვის იმ გულგრილობაში, რომელსაც იჩენდა ამ სოფლების მიმართ. არ მომწონს ჩხუბისთვის იქ ჩასვლა ოპოზიციური პარტიებისა, იმ ხალხს არ სჭირდება, რომ დაინახოს როგორ ჩხუბობს ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთში, ხელისუფლებამ უნდა დაანახვოს ხალხს, რომ ზრუნავს მასზე. მთელი საზოგადოების კონსოლიდაცია უნდა მოახდინოს ამ პრობლების გარშემო.

***— რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ექსპერტებთან და მედიის წარმომადგენლებთან ივანიშვილის შეხვედრამ?***

— საერთოდ ევრ გავიგე პრემიერის მხრიდან რას ემსახურება ასეთი ტიპის შეხვედრები, ბევრად უფრო მძიმე იყო შთაბეჭდილება ექსპერტებთან შეხვედრისა, ექსპერტების უდიდესმა ნაწილმა, მცირე გამონაკლისების გარდა. ვერ გამოავლინა პრინციპულობა საკუთარი პოზიციების დაცვის დროს. მედიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის პრობლემა, რომელზეც ჩვენ ამ ინტერვიუში გავამახვილეთ ყურადღება, მოახერხეს, რომ ყოფილიყო იმ შეხვედრაზე მთავარი და კარდინალური. თავად შეხვედრები მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა, საზოგადოებამ უნდა გამოიტანოს დასკვნა, რა ტიპის მოვლენასთან გვაქვს საქმე, ხელისუფლების სახით. წარმოიდგინეთ, ხელისუფლების შიგნით როგორი მდგომარეობაა, რამდენად არ შეუძლია ივანიშვილს განსხვავებული აზრის მოსმენა და აღქმა, არ ვიცი, მისი წასვლის მერე ხელისუფლებიდან რა პროცესებს მივიღებთ. თუ ივანიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა წასვლა, ის მაინც უნდა გაეკეთებინა, რომ გაემართა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ ამას არ უნდა ველოდოთ, მისი წასვლა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ იგეგმება.

***— მინისტრები უნდა შეაქოთო, ურჩია ექსპერტებს და მედიას. ის ვერ ხედავს ნეგატიურ პროცესებს, რაც სამინისტროებში ხდება და პერსონებს ეხება.***

— ეს ცუდია და მე ვამბობდი, რომ ივანიშვილი თავისებური ადამიანია, თავისებური შეხედულება აქვს ყველაფერზე. აქვს ძალიან ბევრი ფული და სხვა გადმოსახედიდან იყურება, ვიდრე რიგითი ადამიანები. ის მიიჩნევს, რომ ყველას ჭკუა უნდა ასწავლოს, ცოდნითაც კი წარმოუდგენია, რომ ყველაზე მაღლა დგას, რაც ასე არ არის, ბევრი ფული არ განსაზღვრავს არც ცოდნას, არც განათლებას, არც გამოცდილებას. ელემენტარული ანბანაა დემოკრატიისა, რომ ხელისუფლება უნდა აკრიტიკო, მისგან უნდა მოითხოვო პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება, ის იმასაც აცხადებს რომ რასაც ხალხს დაჰპირდა, შეუსრულა, მაგრამ ეს ასე არ არის.

## წყალტუბოში უცნობი მამაკაცი იპოვეს, რომელიც საკუთარ ვინაობას ვერ ასახელებს

შსს-ს საპატრულო დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვენეთის სამხარეო მთავარი სამმრთველოს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 3 ოქტომბერს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში გამავალ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, დაახლოებით 35-დან 45 წლამდე ასაკის უცნობი მამაკაცი იპოვეს, რომელიც თავის ვინაობას ვერ ასახელებს, სავარაუდოდ, მას სმენის და მეტყველების პრობლემა აქვს.

სამინისტრო მამაკაცის ვიზუალურ აღწერილობას აქვეყნებს და მოქალაქეებს მოუწოდებს ამოცნობის შემთხვევაში, წყალტუბოს რაიონულ სამმართველოს შემდეგ ნომრებზე – 577 526618, 577 529897 დაუკავშირდნენ. სამინისტროს ცნობით, მამაკაცი ქართული იერსახის, თხელი აღნაგობის, სუსტი პირისახის, დაახლოებით 1,80 მ სიმაღლისაა; შავი-ჭაღარა მოკლე შეთხელებული თმით, შავი წვრილი რკალისებრი წარბებით, სწორი ცხვირით, თაფლისფერი თვალებით. ტანთ აცვია – მოთეთრო ფერის სპორტული ფეხსაცმელი, თეთრი ფერის შარვალი, ლურჯი ფერის თეთრზოლიანი გრძელსახელოიანი პერანგი და შავი ფერის ტყავის ქურთუკი ელვაშესაკრავით.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ზაქურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალაპაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვანო მერაბიშვილი: „ჩვენ ნინო ბურჯანაძისა და ბადრი ბიწაძის დაკავების უფლება გვქონდა“

შორენა მარსაგიშვილი

**ყოფილ პრემიერ ვანო მერაბიშვილს 2011 წლის 26 მაისის დარბევაზეც სთხოვენ პასუხს. ეს სისხლიანი დარბევა სწორედ მისი შს მინისტრობის დროს მოხდა. მართალია ეს დარბევა მსხვერპლით დასრულდა, მაგრამ მერაბიშვილი თავს მაინც უმწიკვლოდ მიიჩნევს.**

ის და მისი გარემოცვა მოუთმენლად ელოდნენ, თუ როდის დაიწყებოდა 26 მაისის საქმის განხილვა. გუშინ მათთვის ცნობილი გახდა, რომ 26 მაისის საქმეზე სასამართლო განხილვა გადაიდო. ამ ამბავმა ვანო მერაბიშვილი გააოგნა, შეაშფოთა და აღაშფოთა. აღშფოთებულმა კი საგანგებო განცხადება გაავრცელა. განცხადებების და წერილების დაწერაში ბოლო დროს მერაბიშვილმა მაგრამ გაიწაფა ხელი. ფაქტიურად დღე ისე არ გავა, თითო განცხადება ან ღია წერილი არ გაავრცელოს. ეხმაურება ყველა თემას. ერთადერთი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თამაში არ დაუგმია. ეგეც იმიტომ, რომ ფეხბურთი არ უყვარს. და კიდევ კარგია ასე, თორემ რა გაუძლებდა მაშინ მაგის შეფასებებს.

რაც შეეხება 26 მაისის საქმის განხილვის დაწყების გადადებას, ამას მერაბიშვილი ახსნას ვერ უძებნის. და ამ ფაქტს ბიძინა ივანიშვილის დაკვეთად აფასებს. მისი განცხადებით, პრემიერ-მინისტრი საქართველოს პროკურატურისა და მართლმსაჯულების პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოყენებას ცდილობს.

– სამწუხაროდ, საქართველოს მთავარი პროკურატურა განაგრძობს საქართველოს ხელისუფლების და პირადად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დაკვეთის შესრულებას და საკუთარი თავის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებას. აღნიშნული უწყების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ, მოითხოვეს „26 მაისის“ საქმეზე სასამართლო განხილვის დაწყების გადავადება, რის გამოც ამ საქმეზეც, ისევე როგორც „გირგვლიანის საქმეზე“ სასამართლო პროცესები ნოემბრის დასაწყისშია ჩანიშნული (5 და 6 ნოემბერს). აღსანიშნავია, რომ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, როდესაც სასამართლომ 2 კვირით გადადო პროცესი, ამჯერად ეს ვადა 20 დღით გახანგრძლივდა, რაც არანაირ ლოგიკურ ახსნას არ ექვემდებარება.



როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის ამოცანას წარმოადგენს ჩემი პატიმრობაში ყოფნა მაქსიმალურად შესაძლებელი ვადით, რაც გულისხმობს ბრალის წაყენებიდან 9 თვეს. სწორედ ამიტომ, პროკურატურის წარმომადგენლები ითხოვენ იმ საქმეებზე განხილვების დაწყების გადადებას, რომლებშიც არც ღირებული მოწმე ჰყავთ და არც მტკიცებულებები გააჩნიათ, რის გამოც, სასამართლო პროცესი მოკლე ვადებში გამამართლებელი განაჩენით დასრულდება. სწორედ ამიტომ, მათ არ მოითხოვეს განხილვების დაწყების გადავადება „სოციალური აგენტების“ საქმეზე, სადაც მოწმეთა აბსურდული რაოდენობა – 3969 მოწმე – იძლევა საშუალებას, გაიწელოს სასამართლო პროცესი განუსაზღვრელი ვადით.

მინდა ვუთხრა პირადად ბიძინა ივანიშვილს, რომ მისი გადაწყვეტილება, გამოიყენოს საქართველოს პროკურატურა და მართლმსაჯულება პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, არის სამარცხვინო და დიდ ზიანს აყენებს როგორც ამ კონკრეტულ უწყებას, ასევე ზოგადად ქართულ სახელმწიფოებრიობას. მსგავსი სამარცხვინო საქციელი, როგორიც არის სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებისთვის პოლიტიკური დავალებების მიცემა და მათი შესრულების იძულება, უხერხულ და დამამცირებელ მდგომარეობაში აყენებს ამ კონკრეტულ ადამიანებს, რომლებზეც დღეს ქვეყნის სახელმწიფოებრიობა დგას, – ვკითხულობთ ვანო მერაბიშვილის მიერ დაწერილ განცხადებაში.

მწერლად ქცეული მერაბიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს სთხოვს, თავი დაანებოს ამ ადამიანების პოლიტიკურ იარაღად გამოყენებას და საკუთარი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ამ მეთოდებით ბრძოლას. ნაციონალების გენერალური მდივანი მიიჩნევს, რომ ეს პირველ რიგში, ჩვენს ქვეყანას აყენებს ზიანს.

ივანიშვილის გარდა მერაბიშვილმა გუშინ ნინო ბურჯანაძეც შეაჩვენა. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ პატიმრობაში მყოფი მერაბიშვილი თავისი განცხადებით გაალიზიანა. 8 ოქტომბერს „რუსთავი 2“-ის ეთერში ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მისი და ანზორ ბიწაძის საუბრის ამსახველი ფარული აუდიო ჩანაწერი, რომელიც შს სამინისტრომ 2011 წლის მაისის აქციების დროს გამოაქვეყნა, ფაბრიკაცია იყო. პარლამენტის ექს-სპიკერის განცხადებით, ეს შემდეგ მერაბიშვილმა და პრეზიდენტმა სააკაშვილმაც აღიარეს.

ეს განცხადება მერაბიშვილს გულზე მწარედ მოხვდა და ბურჯანაძე სიცრუის ტირაჟირებაში დაადანაშაულა.

– მინდა გამოვეხმაურო 8 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „არჩევანში“ ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებულ სამარცხვინო განცხადებებს, რომელთა უმეტესობაც ელემენტარული სიცრუეა. პირველ რიგში, მინდა დავადასტურო, რომ ნინო ბურჯანაძის საკუთარ შვილთან საუბრის ჩანაწერი არის ავთენტური და ეს ჩანაწერი სრული სახით დღემდე ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. გარდა ამისა, არც მე და არც საქართველოს პრეზიდენტს არასოდეს არ გვითქვამს, რომ იგი არის გაყალბებული.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ 26 მაისის მოლენების გამო, რაც მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ამ მოვლენების შედეგად მიღებული მსხვერპლის გამო, ისევე როგორც მანამდე, ე.წ. „შეფიცულთა რაზმის“ ჩამოყალიბების გამო, ჩვენ სრული კანონიერი უფლება გვქონდა პასუხისგებაში მიგვეცა ნინო ბურჯანაძე, ისევე როგორც მისი მეუღლე, ბადრი ბიწაძე, რომელიც აღნიშნულ „შეფიცულთა რაზმს“ ხელმძღვანელობდა. თუმცა, ჩვენ თავი შევიკავეთ ამ ნაბიჯის გადადგმისგან, რათა ვინმეს არ ჩაეთვალა, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური მოტივებით დევნას. 26 მაისი მოვლენებს ნამდვილად მოჰყვა შედეგი, როგორც ამას ქალბატონი ბურჯანაძე აცხადებს – ეს შედეგი იყო გარდაცვლილი ადამიანები, მათ შორის ერთი პოლიციელი, რომლის მკვლელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ „პოლიტიკურ პატიმრად“ შერაცხა, – ნათქვამია მერაბიშვილის მიერ ფეისბუქით გავრცელებულ განცხადებაში.

მერაბიშვილს შეუფასებელი და დაუგმობელი არც ბურჯანაძის მეორე განცხადება დაუტოვებია, რომლის მიხედვითაც 2008 წლის ომის დროს მისი ვაჟი ანზორ ბიწაძე და მეუღლე ბადრი ბიწაძე კრიზისის ზონაში იმყოფებოდნენ:

– რაც შეეხება ომის დროინდელ მოვლენებს, გასაკვირი არ არის, რომ ადამიანი, რომელიც საქართველოს დაუძინებელ მტერთან, ვლადიმირ პუტინთან ერთად მოსკოვში საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას დიდ პატივად თვლის, საკუთარ ქვეყანას ადანაშაულებს ომის დაწყებაში. არც ის არის გასაკვირი, რომ სწორედ რუსეთთან ომის დროს, მისმა მეუღლემ, ბადრი ბიწაძემ უარი განაცხადა საბრძოლო მოქმედებებში მას დაქვემდებარებული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩართვაზე. შედეგად აღარ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ეს ადამიანი ღიად ეწევა რუსული პოზიციის პროპაგანდას, რომელიც სიცრუეზე და ფაქტების გაყალბებაზე არის აგებული, – აცხადებს მერაბიშვილი.

საინტერესოა, ვანო მერაბიშვილმა ამის შესახებ აქამდე რატომ არაფერი არ თქვა. ან რა უნდოდა სასაზღვრო ძალებს ცხინვალში, როცა საქართველოს საზღვრებზე საკმაოდ რთული ვითარება იყო.

რაც შეეხება 26 მაისის ამბებს, მართლა გასარკვევია, რატომ არ დააპატიმრეს მაშინ ნინო ბურჯანაძე და ბადრი ბიწაძე. ბადრი ბიწაძე ვანოს თანამშრომლებს დაკავებულიც კი ჰყავდათ. იმის მაგივრად, რომ ის პოლიციის განყოფილებაში გადაეყვანათ, საქართველო დაატოვებინეს. საინტერესოა, რატომ მოიქცა ვანო მერაბიშვილი ასე ჰუმანურად?

---

# რუსები საერთაშორისო თანამეგობრობას სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებისკენ მოუწოდებენ

შორენა მარსაგიშვილი

**სოჭის ოლიმპიადა იმაზე უფრო პოლიტიზებული აღმოჩნდა, ვიდრე ამას ვინმე ელოდა. ნაციონალები აქამდეც მისი წინააღმდეგი იყვნენ. მათ ამ პოზიციას ბევრი პოპულიზმად აფასებდა. მას შემდეგ, რაც ოლიმპიადის ერთ-ერთ მეჩირაღდნედ აგვისტოს ომის გმირი დანიშნეს, მთელი ერი სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტზე ალაპარაკდა.**

საქართველოს საოცნებო ხელისუფლება აქამდე ომახიანად ამტკიცებდა, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. როგორც ამბობდნენ, ოლიმპიადის გახსნაზე დასწრებას ბიძინა ივანიშვილიც აპირებდა. ახლა კი მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აღარ აქვთ. ამბობენ, რომ დააკვირდებიან რუსეთის ქმედებებს და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ.

წესით და რიგით გადაწყვეტილება უკვე მიღებული უნდა ჰქონდეთ. რუსეთის ხელისუფლების დაკვირვება კი კარგ შედეგამდე არ მიიყვანთ. საეჭვოა, ომის გმირი მეჩირაღდნეთა სიიდან ამოიღონ. ასე რომ, თუ ბოიკოტს ვაცხადებთ, ახლავე უნდა ვთქვათ.

პარტია „იმედის“ ლიდერი, ირინა სარიშვილი სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადებას არასერიოზულ ნაბიჯს უწოდებს. მისი თქმით, ოლიმპიადა ერთადერთი ღონისძიებაა, სადაც პოლიტიკური შეხედულებები გვერდით უნდა გადაიწიოს და მსოფლიო საზოგადოება გაერთიანდეს.

– ოლიმპიადაზე ცეცხლი ჩაქრა და მოსხლეობის გაურკვეველი აზროვნების ნაწილს გაეხარდა, ჰგონიათ, რომ თუ მისტიკასთან გვაქვს საქმე, რალაცის ნიშანია. ეს ცუდი ნიშანი ეხება მთლიანად დედამიწას, რადგან ოლიმპიადა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხორციელდება. ოლიმპიადა იყო ერთადერთი ღონისძიება, სადაც პოლიტიკა იწეოდა გვერდზე და ყველა ერთმანეთს ხელს ართმევდა. ამიტომ ატეხილი აჟიოტაჟი და ბოიკოტი სრული უვიცობის ბრალია. მე ვფიქრობ, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება-არმიღების გადაწყვეტიულება არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ შეხედულებებზე. თუ სპორტსმენები მზად არიან ამისთვის, მონაწილეობა უნდა მიიღონ. სხვათა შორის, აშშ არ აპირებს ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარის თქმას იმის გამო, რომ რუსეთმა საქართველო გაანაწყენა. – განაცხადა „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ირინა სარიშვილმა.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების მომხრეა. ნაცვლიშვილი აცხადებს, რომ ეს არა საქართველოს მთავრობამ, არამედ ოლიმპიურმა კომიტეტმა უნდა გააკეთოს.

ნაცვლიშვილის განმარტებით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მთავარი პრინციპია ის, რომ მთავრობა ოლიმპიური კომიტეტების გადაწყვეტილებებში არ უნდა ჩაერიოს. საინტერესოა, ნაცვლიშვილს ეს 2007 წელს რატომ არ გაახსენდა, როცა ბადრი პატარკაციშვილი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობიდან მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნით გადააყენეს.

– ჩემი კეთილი რჩევაა, რომ მთავრობამ არავითარი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებასთან დაკავშირებით. დეპუტატები რას იტყვიან, ეს დიდად არაფერს არ ნიშნავს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ძალიან მკაცრად უყურებს იმას, რომ მთავრობის ჩარევა არ მოხდეს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებაში. ეს არის მათი ყველაზე დიდი პრინციპი. ჯობია, რომ მთავრობის წევრებმა საერთოდ კომენტარიც კი არ აკეთონ ამ თემაზე. გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

მისი განმარტებით, ბოიკოტირების შემთხვევაში საქართველოს რაიმე სანქცია არ დაეკისრება. იმისათვის, რომ ქვეყანას სანქციები არ დაეკისროს, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა სერიოზული სამუშაოები უნდა გასწიოს.

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ აქამდე არსებული პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ 30-35 შემთხვევა ყოფილა ბოიკოტირების და არასდროს სანქცია გამოყენებული არ ყოფილა. თუმცა ბოიკოტი რომ გამოვაცხადოთ და ვთქავთ, სანქციები არ დაგვეკისრება, სწორი არ იქნება. ბევრი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბოიკოტის შემთხვევაში სანქციები არ იყოს. თუ ჩვენ ოლიმპიადის ბოიკოტს ვაპირებთ, ეს არის მალე გასაკეთებელი და ამაზე ოლიმპიურმა კომიტეტმა სერიოზულად უნდა იმუშაოს, რადგან ისეთი კონსერვატიული ორგანიზაციისთვის, როგორიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტია, ამის უცებ განცხადება იქნება შოკი. იმედია, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი ამ საკითხზე უკვე მუშაობს, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

გია ნაცვლიშვილი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად 2008 წლის 31 ოქტომბერს აირჩიეს. არჩევნები აგვისტოს ომის შემდეგ ჩატარდა. სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის თემა მაშინ ძალიან აქტუალური იყო. ნაცვლიშვილი პირობას დებდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, რათა სხვა ქვეყნებიც შეერთებოდნენ ბოიკოტს.

ამ მიმართულებით ნაცვლიშვილმა მართლა ბევრი იმუშავა. თუმცა ბევრს ვერაფერს გახდა. დედამიწის ზურგზე არც ერთ ქვეყანას სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადების სურვილი არ გაუჩნდა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი დარწმუნებულია, რომ საქართველომ პროვოკაციას პროვოკაციით არ უნდა უპასუხოს.

– საჭიროა, ითამაშო სერიოზული პოლიტიკური თამაში, როცა გთავაზობენ პოლიტიკურ თამაშს. არ შეიძლება, ის ჭადრაკს გეთამაშებოდეს და შენ ფრენბურთის მოედანზე იდგე. ჩვენ შორი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ რაც უნდა შორი იყოს, პირველი ნაბიჯები გადასადგმელია. ყველა შემთხვევაში, ჩვენ გვჭირდება ძალიან ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა. არ შეიძლება, გამოვჩნდეთ როგორც პროვოკაციაზე პროვოკაციით მპასუხებელი, ეს არასდროს მიგვიყვანს სიკეთემდე. თუ სპორტული ღონისძიებებიდან გამომდინარე, სპორტულ დაფაზე ცდილობენ შენს გადაყვანას, უნდა გადახვიდე და ითამაშო ისე, რომ ეს მხარდაჭერა იყოს შეუქცევადი და ძლიერი. კარგი მხრით უნდა გამოვჩნდეთ, მართლები უნდა გამოვჩნდეთ, – განაცხადა გია ვოლსკიმ.




სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადებას სხვა ქვეყნები არც ახლა აპირებენ. პარადოქსი ისაა, რომ სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ ისევ რუსები გამოვიდნენ. ოლიმპიადის წინააღმდეგ აქციები რუსეთის დედაქალაქშიც დაიწყო. გუშინ მოსკოვში ბოროდინსკის მოედანზე უდიდესი საპროტესტო ბანერი გამოკიდეს წარწერით „ქვეყანა იხრჩობა, ვიდრე ილიმპიური ცეცხლი ანთია“.

საპროტესტო აქცია იმ დროს გაიმართა, როდესაც მოსკოვში ოლიმპიური ცეცხლის გადაცემის ერთ-ერთი ღონისძიება მიმდინარეობდა. აქციის მონაწილეთა თქმით მაშინ, როდესაც რუსეთში მასობრივი რეპრესიები ხორციელდება, ყველა მოქალაქემ უნდა გამოუცხადოს ბოიკიტი სოჭის ოლიმპიადას. ისინი მოუწოდებენ უცხოელებსაც, პროტესტის ნიშნად არ ჩავიდნენ სოჭში.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობენ, სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტს უცხადებენ. გუშინ კიდევ ერთი განცხადება ლგბტ პირების დამცველი ორგანიზაციების სახელით გავრცელდა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე სოხუმში ჩავიდა. რაშიდ ნურგალიევი და აფხაზეთის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა. საუბრის მთავარი თემა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა იყო.

# ბიძინა ივანიშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა

შორენა გონგლაძე

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საოკუპაციო ხაზის გავლებასთან დაკავშირებით, მთავრობას უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევას სთავაზობს. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, ანდრო ბარნოვმა, გააკეთა. ბარნოვის განცხადებით, საქართველოს პირველი პირი უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევის აუცილებლობას საოკუპაციო ხაზთან შექმნილი ვითარების გამო მიიჩნევს.'**



— იცით, რომ გრძელდება მცოცავი ოკუპაცია. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საკითხზე სასწრაფო მსჯელობაა საჭირო. სწორედ ამიტომ მთავრობას გადავცემ პრეზიდენტის თხოვნას, რომ შაბათს შეიკრიბოს უშიშროების საბჭო. თუ მათი სურვილი იქნება, საათზე შევთანხმდებით,'— განაცხადა ანდრო ბარნოვმა. მისივე განცხადებით, შესაძლოა უშიშროების საბჭოს სხდომაზე საუბარი სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის საკითხსაც შეეხოს.

ანდრო ბარნოვის განცხადებას ამ დრომდე პრემიერ– მინისტრის მხრიდან გამოხმაურება არ მოყოლია. თუ გავიხსენებთ პრემიერის მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებულ განცხადებას, სადაც ის აცხადებს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ვერ ასწავლის მათ, თუ როგორ უნდა მოაგვარონ ურთიერთობები რუსეთთან ან ე.წ. „საზღვრის მოწყობის“ პროცესი, რადგანაც არსებული სიტუაციის შექმნაში „ლომის წილი“ სწორედ მას მიუძღვის, ისევე, როგორც წინა ორი სხდომა, სავარაუდოდ, აღნიშნული სხდომაც პრემიერის გარეშე ჩატარდება.

პრეზიდენტის ინიციატივას უშიშროების საბჭოს მოწვევის თაობაზე „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გამოეხმაურა. მარგველაშვილი თვლის, რომ მოცემულ სიტუაციაში უშიშროების საბჭოს სხდომა ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს.

— ამ ვითარებაში, როდესაც პოლიტიკური კამპანია მიმდინარეობს, როდესაც რეალურად უაღრესად დაძაბული ვითარებაა, როდესაც მოქმედი პრეზიდენტი ფაქტობრივად აცხადებს, რომ თავის ქვეყანასთან ოპოზიციაშია, ჩემი აზრით, რომ გითხრათ, რომ უშიშროების საბჭოს სხდომა რაიმე პოზიტიურს მოიტანს, ასე არ მგონია. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ამ ვითარებაში მთავარია, საარჩევნო პროცესის ბოლომდე მშვიდობიანად მიყვანა, — განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის მიერ უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი'- მორიგ პიარ-მასკარადად აფასებს და მასში მონაწილეობაზე უარს აცხადებს. უსუფაშვილმა შესაბამისი განმარტებები პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ანდრო ბარნოვის სახელზე გაგზავნილ წერილში გააკეთა.

— გავეცანი თქვენს საჯარო განცხადებას, რომლითაც მაცნობეთ პრეზიდენტის თხოვნა შაბათს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მცოცავი ოკუპაციისა და სოჭის ოლიმპიადის საკითხების განხილვის თაობაზე. საჯაროდვე გთხოვთ, გადასცეთ ბატონ პრეზიდენტს, რომ უშიშროების საბჭოს ამ სხდომაზე დასწრებით მონაწილეობის მიღება მომიხდება მის მიერ ორგანიზებულ მორიგ პიარ-მასკარადში, რომელიც გამოიწვევს უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ინსტიტუტების (საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს უშიშროების საბჭო) შემდგომ დისკრედიტაციას და სერიოზული სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი (მცოცავი ოკუპაცია, მოქალაქეების უსაფრთხოება) არასერიოზული დამოკიდებულების დემონსტრირებას. ამის სურვილი არ მაქვს, ვერ გეახლებით და თავადაც გირჩევთ, დაფიქრდეთ, — ნათქვამია უსუფაშვილის განცხადებაში.

განსხვავებული პოზიცია აქვს საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძეს, ის მცოცავი ოკუპაციის საკითხზე, უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინადადებას მხარს უჭერს. როგორც ჯაფარიძემ განაცხადა, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მნიშვნელოვანია.

—'რა თქმა უნდა, ეს იქნება მნიშვნელოვანი, საერთოდ, უშიშროების საბჭოს გამართული ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ისეთი პრობლემები აქვთ, როგორიც საქართველოს. ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მსჯელობა, რადგან საქმე ეხება ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იმ მოვლენებს, რომლებიც ვითარდება ბოლო პერიოდში. ასე რომ, მე მხარს დავუჭერდი და მივესალმებოდი ამ წინადადებას,'— განაცხადა ჯაფარიძემ ჟურნალისტებთან აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას.

პრეზიდენტის ინიციატივას პოზიტიურად აფასებს ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეც, თუმცა ვიქტორ დოლიძე ფიქრობს, რომ მცოცავ ოკუპაციაზე უშიშროების საბჭოს სხდომის ფორმატში მსჯელობის გარდა, ქართულმა მხარემ დიპლომატია უნდა გააააქტიუროს.

— ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით ოპოზიციას და ხელისუფლებას ერთნაირი პოზიცია რომ გააჩნია, მე მგონი, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამიტომ ნებისმიერ კონსულტაციას, იქნება ეს უშიშროების საბჭო სხდომის ფორმატი თუ სხვა, მე დადებითად ვუყურებ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. მარტო უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვაზეც არ არის, ჩვენ უნდა მაქსიმალურად გავააქტიუროთ დიპლომატია,'— განაცხადა დოლიძემ.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის პოზიციას, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს, — ამის შესახებ პრემიერის პრესსამსახური აკეთებს განმარტებას. როგორც პრესსამსახური განმარტავს:საქართველოს მთავრობა მცოცავი ოკუპაციისა და სოჭის ოლიმპიადის საკითხების განხილვაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ მუშაობს. „საქართველოს პრემიერ-მინისტრი უშიშროების საბჭოს სხდომაში არ მიიღებს მონაწილეობას, რადგან ეს არის პრეზიდენტის პიარაქცია. საქართველოს მთავრობა დაკავებულია ამ საკითხების რეალური მოგვარებით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“.

# გააიაფეთ ავტობუსით მგზავრობა!

შორენა გონგლაძე

საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლამდე, დაბალი ტარიფიდან გამომდინარე, გაცილებით ხელმისაწვდომი იყო. მას შემდეგ, რაც დედაქალაქის ქუჩებში ე.წ. ყვითელი ავტობუსები გამოჩნდა და ჰოლანდიური ნაგავი თბილისის მერიამ ექსპლუატაციაში დიდი ზარზეიმით მიიღო, სოციალურად გაჭირვებული ფენისთვის (რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძირითადი მომხმარებელია) პრობლემებიც დაიწყო. მართალია ყვითელ ავტობუსებსა თუ მეტროპოლიტენით სარგებლობისას სოციალურად დაუცველი პირი შეღავათით სარგებლობს, თუმცა, ტრანსპორტის გაძვირებამ მოსახლეობის სერიოზული და არცთუ უსაფუძვლო უკმაყოფილება გამოიწვია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ავტობუსების ნახევარზე მეტი უკვე ჩამოწერილია და მგზავრებსაც ავტობუსის გაჩერებაზე ლოდინი საკმაო ხანს უწევთ, მომხმარებლის პრეტენზიები ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული. აღნიშნულთან დაკავშირებით პროტესტს გამოთქვამს პარტია „თავისუფალი საქართველო“, რომელიც ყვითელი მიკროავტობუსების ტენდერის გაუქმებას და მგზავრობის გაიაფებას მოითხოვს.

„თავისუფალმა საქართველოს“ წევრებმა გუშინ, ყვითელი მიკროავტობუსების ტენდერის გაუქმებისა და მგზავრობის გაიაფების მოთხოვნით თბილისის მერიასთან აქცია-ბრიფინგი გამართეს.

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა ალეკო შალამბერიძემ განაცხადა, პრობლემის მოსაგვარებლად მთავარი ფაქტორი საკრებულოსათვის საკონკურსო პირობებისა და წესების ჩამოყალიბების უფლების დაბრუნებაა.

— მოვითხოვთ, შეჩერდეს ტენდერი, ვინაიდან მგზავრთა მომსახურების ხარისხი არ გაუმჯობესებულა, თუმცა მგზავრობის ფასი გაიზარდა, მინიმუმ 60%-ით. მოვითხოვთ ამ ხელშეკრულების გაუქმებას, საკრებულოსათვის საკონკურსო პირობებისა და წესების ჩამოყალიბების უფლების დაბრუნებას და ხელახალი ტენდერის ჩატარებას, სადაც ყველა მსურველი მიიღებს მონაწილეობას თავისუფალ და კონკურენტუნარიან გარემოში, — განაცხადა ალეკო შალამბერიძემ.

აქციის მონაწილეები ასევე მოითხოვენ, საკრებულოს კომისიებმა განიხილონ ზემოაღნიშნული საკითხები და სასწრაფოდ განახორციელონ ანტიმონოპოლიური კამპანია.

— ჩვენ ბოლომდე მივყვებით ამ საკითხს და მომავალში ჩვენს აქციებს ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლები და საზოგადოებაც შემოუერთდებიან. ამიტომ საკრებულოს კომისიებმა სასწრაფოდ უნდა განიხილონ ზემოაღნიშნული საკითხები და განახორციელონ ანტიმონოპოლიური კამპანია, — განაცხადა შალამბერიძემ.

## ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ინფრასტრუტქურის განვითარების სამსახურის უფროსი, 1955 წელს დაბადებული თამაზ შალვას ძე მაჩხანელი და ქრთამის აღებაში დამხმარე მოქალაქე, მცხეთის სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილე ვაჟა გ. დააკავეს. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებული თამაზ მაჩხანელი თანამდებობრივი უფლებამოსილების და საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, შუამავალ ვაჟა გ.-ს მეშვეობით და დახმარებით, კორუფციულ გარიგებაში შედიოდა პირებთან, რომლებსაც მცხეთაში მშენებლობისთვის საჭირო ნებართვის მიღება და სამშენებლო სამუშაოების წარმართვა სურდათ. ის დაინტერესებულ პირებს ჰპირდებოდა, რომ სამსახურებრივ მფარველობას გაუწევდა და საშუალებას მისცემდა კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ტერიტორიაზე მშენებლობა დაეწყოთ კანონით სავალდებულო სამშენებლო ნებართვისა და პროექტის დამტკიცების გარეშე, რისთვისაც მან მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს ქრთამის სახით 400 ამერიკული დოლარი აიღო.

**ნიუსპრესი**

# კახა ძაგანია: „ოლიმპიადაში ფარული პოლიტიკური ნაღმია, რომელიც სოჭში აფეთქდება“

შორენა კოწოწაშვილი

**უნდა ველოდეთ თუ არა მთავრობაში ცვლილებებს და ვის უნდა მიბაძოს საქართველომ ოლიმპიადაში მონაწილეობა-არმონაწილეობის კუთხით? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „მემარცხენე ალიანსის“ წევრ კახა ძაგანიასთან.**

***— ბატონო კახა, როგორ შეაფასებდით საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. მართლაც დოყლაპიურად გამოიყურება საქართველოს კოალიციური მთავრობა, როგორც ნაციონალები აფასებენ?***

— ნამდვილად რთული ვითარებაა საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ნაციონალური მოძრაობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ მოახდინოს თავისი თავის რეაბილიტაცია, გაიხანგრძლივოს პოლიტიკური არსებობა და პოლიტიკური საფლავიდან ამოძვრეს. ამისთვის ყოფილი მმართველი გუნდი, ყველაფერს აკეთებს: არ იშურებს არც ფინანსურ რესურსს და არც ადმინისტრაციულს, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილი აქვს. სამწუხაროდ, ხელისუფლება ნამდვილად დოყლაპიობს. ის გადასულია საქმის გარჩევებზე ჟურნალისტებთან და ექსპერტებთან, რაც ჩემი აზრით, ძალიან არასწორი ქმედებაა ამ წინასაარჩევნო პერიოდში. ეს ტენდენცია და მსგავსი არასწორი ნაბიჯები „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს აშკარად რეიტინგს უკარგავს; აქეთა მხრიდან – ნაციონალი მოძრაობა, რომელსაც ჰყავს საპრეზიდენტო კანდიდატი და რომელიც ყველანაირს რესურსს იყენებს მხარდამჭერების მობილიზაციისთვის, მუშაობს სატელიტ პოლიტიკურ პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, ისინი უკვე დაფინანსებული ჰყავს იმისთვის, რომ გაიყოს ოპოზიციური ხმები და ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც ისედაც გარანტირებული ხმათა რაოდენობა აქვს, ავტომატურად გადავიდეს მეორე ტურში. თუ ხელისუფლებამ ასეთი უნიათო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა გააგრძელა, არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტი არჩევნების დღეს არ აირჩეს და მეორე ტური ჩატარდეს ხელისუფლებისა და ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. ეს ქვეყნისთვის ნამდვილად ტრაგედია იქნება. სხვათა შორის, ჩვენ ამგვარი სცენარის განვითარების თაობაზე სწორედ თქვენი გაზეთის საშუალებით ვსაუბრობდით, როგორც კი საპრეზიდენტო კანდიდატები დასახელდნენ და საარჩევნო კამპანია დაიწყო. მსგავსი ვითარება საქართველოს განვითარებას რამდენიმე წლით დაწევს უკან, რაც უფრო მეტად შეუშლის ხელს საქართველოს ევროინტეგრაციას.

***— თქვენ თქვით, რომ ნაცმოძრაობა პოლიტიკური საფლავიდან ამოძრომას ცდილობს. პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამაში სააკაშვილის თანაგუნდელებს მმართველი კოალიციის არასწორი ნაბიჯები ეხმარება. ასეა?***

— ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლების ყველა წევრი დაკავებულია იმით, რომ როგორმე ხელი შეუწყოს ნაციონალური მოძრაობის რეანიმაციას, მაგრამ რიგი დეპუტატები და მთავრობის წევრები, ნებსით თუ უნებლიედ, გამოუცდელობით თუ შეგნებულად ხელს უწყობენ ამ პროცესის განვითარებას. ამას საზოგადოება ხვდება და ყოველივეს ძალიან აგრესიულად ღებულობს. ნაცმოძრაობის დღეები ქართველმა



ხალხმა უკვე დათვალა და პოლიტიკურ წარსულს ჩააბარა. ვიმეორებ, მე მართლაც ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მთელი ხელისუფლება გამეცადინებულია იმაზე, რომ ნაცმოძრაობამ როგორმე პოლიტიკური სახე დაიბრუნოს. ეს ასე არ არის, მაგრამ ფაქტი ფაქტია და სამწუხაროდ, ამის მიმანიშნებელი პროცესები ვითარდება. მაგალითებსაც გეტყვით: ის კონკრეტული საკითხები, რომელის გაკეთებული აქვს საპარლამენტო უმრავლესობას, თუნდაც საკანონმდებლო ინიციატივის დონეზე და საპარლამენტო მუშაობის დროს, გნებავთ, მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობაში, არ არის სათანადოდ გადმოტანილი საზოგადოებისთვის და ხალხისთვის შესაბამისად არ არის განმარტებული. ხალხი ამ სიკეთეს თვითონ დაინახავსო, ამბობენ, რაც სამწუხაროდ, არაპოლიტიკური განცხადებაა. ეს არ არის ის განცხადება, რომელსაც უნდა აკეთებდეს პოლიტიკური ძალა, მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ. შეცდომებია დაშვებული მმართველი პოლიტიკური პარტიის და კოალიციის სამომავლოდ განვითარების პროგნოზირებაშიც. ხალხმა პრაქტიკულად არ იცის, რომელ ძალას აძლევს ხმას მარგველაშვილის სახით. ხალხის დიდიმა ნაწილმა ვერ გაიგო, მარგველაშვილი არის კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის – „ქართული ოცნების“ კანდიდატი, თუ ის არის კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის რჩეული და მისი კანდიდატი. მერე, ის საკითხი, რომ ბიძინა ივანისვილი საზოგადოებრივ სექტორში აპირებს გადასვლას, ვისთან უნდა იყოს მარგველაშვილი ანგარიშვალდებული, კარგი გაგებით?! გასაგებია, რომ ზოგადად, ხალხთან უნდა იყოს ანგარიშვალდებული, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რომელიც პოლიტიკური ჯგუფის წარდგენილია კონკრეტული პრეზიდენტობის კანდიდატი. ძალიან დაბნეული, ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველი მესიჯების მიწოდების გამო ხელისუფლების წარმომადგენლები ნაცმოძრაობის წისქვილზე ასხამენ წყალს. ალბათ ეს პოლიტიკური გამოუცდელობის ბრალია, რადგან არ მჯერა, რომ მთავრობა და ივანიშვილის გუნდი მართლაც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ნანა კაკაბაძე: „კანონიერი ქურდები საქართველოში აღარ არიან“

## რატომ არ უშვებენ უფლებადამცველებს ციხეში?!

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, მოდით, სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე პროცესებით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ. ამ ბოლო პერიოდში იმატა პატიმართა გარდაცვალების ფაქტებმა. თქვენ, როგორც უფლებათა დამცველი, რა ინფორმაციებს ფლობთ, რა ხდება დღეს ციხეებში?***

— პატიმრების გარდაცვალების ფაქტების გახშირებაზე მეტად მოხდა გამჭვირვალობა, ანუ დღეს ჩვენ უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს, რა ხდება ციხეებში, ვიდრე ეს გვქონდა ბოლო 9 წლის განმავლობაში. ის ინფორმაციები რომ გვქონოდა ჩვენ, რაც ამ 9 წლის განმავლობაში ხდებოდა, თუნდაც 50%, რაც იქ ხდებოდა, რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა გამოჩნდებოდა სამოთხედ. ვინაიდან ჩვენ ეს ინფორმაციები არ გვქონდა და ეს ვიცოდით მხოლოდ და მხოლოდ პატიმრების გადმოცემით და ადვოკატების გადმოცემით, მას შემდგომ, რაც პატიმრები უყვებოდნენ, რომ ციხიდან დღეში რამდენიმე გვამი გაჰქონდათ მორგში და ამას უყურებდნენ პატიმრები. ამაზე არა პატიმრები, გარდაცვლილის ოჯახის წევრებიც ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას. იმდენად ატერორებდნენ და აშინებდნენ, რომ აი, თქვენ კიდევ გყავთ ოჯახის წევრები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ბუნებრივია, ჩვენ ეს ინფორმაციები არ გვქონდა. გვქონდა მხოლოდ ის ინფორმაცია, რასაც ხელისუფლება წლის ბოლოს გამოაცხადებდა, რომ ამდენი ადამიანი იყო გარდაცვლილი ციხეთა სისტემაში. დღეს ეს უფრო გამჭვირვალე გახდა, გვაქვს უფრო ბევრი ინფორმაცია, ვიდრე მანამადე გვქონდა და ეს ინფორმაციები, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის არის შემაშფოთებელი. ეს ბუნებრივიც არის და მეც ვფიქრობ, ის, რომ დღეს ის რეალობა არ არის, რაც 9 წლის წინ იყო, ძალიან კარგია, მაგრამ ის, რაც დღეს არის, მაინც პრობლემურია და ეს ყველაფერი გამოსწორებას მოითხოვს. თუნდაც ეს ბოლო ფაქტი, არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალება. გეტყვით, რომ ეს ბავშვი პრობლემური იყო თავისი მდგომარეობით, 16 წლის ასაკში სამჯერ ჰქონდა ნასამართლეობა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ მას პრობლემა ჰქონდა იქ მყოფ პატიმართანაც, იმიტომ კი არა, რომ ის მაყურებელი იყო, სხვა პრობლემასთან გვაქვს საქმე და მე ნება მომეცით, რომ ეს დახურულად დავტოვო და ამაზე არ ვისაუბრო. თუმცა მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ იქ არ იყო ისეთი სათანადო ყურადღება, რომ ამ ადამიანს არ ჩაედინა თვითმკვლელობა. დღევანდელი ვერსიით ამ პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო.

***— თქვენ ეთანხმებით და იზიარებთ ამ ვერსიას? ან რა ინფორმაციებს ფლობთ?***

— მე მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ბავშვს ნამდვილად ჰქონდა გირაო. წინა ნასამართლეობის დროსაც ჰქონდა მას გირაო, ოჯახმა ეს გირაო ვერ გადაიხადა და მოხვდა ის ციხეში. სავარაუდოდ, ალბათ ახლაც ვერ გადაიხდიდნენ გირაოს და ესეც იცოდა ამ ბავშვმა და შეიძლება ესეც გახდა თვითმკვლელობის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, მე ამ ვერსიისკენ ვიხრები, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეს ადმინისტრაციას არ ათავისუფლებს იმ პასუხისმგებლობისგან, რომ მან შეძლო ამ თვითმკვლელობის განხორციელება. იქ არ იყო ისეთი პირობები, ისეთი მეთვალყურეობა, რომ ბავშვს ეს ვერ მოეხერხებინა. რა თქმა უნდა, ამაზე პასუხისმგებლობას ატარებს ქუთაისის ციხის ადმინისტრაცია.

***— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება ზოგად სიტუაციას?***

— ზოგადი სიტუაცია, რაც ყველაზე პრობლემურად მიმაჩნია, არის ის, რომ არ არსებობს მონიტორინგის საბჭო, დამოუკიდებელი მეთვალყურეები, გარდა ომბუდსმენის აპარატისა, სხვა დამოუკიდებელი სტრუქტურა დღეს არ არსებობს, რომელიც 24 საათიან რეჟიმში შევა და ჩაატარებს მონიტორინგს. აი, ეს არის დღეს ყველაზე დიდი პრობლემა. სწორედ ამიტომაც იქ არის ის პრობლემები, რაც დღეს არის.

***— თქვენი აზრით, რატომ არ იქმნება მონიტორინგის საბჭო?***

— ერთ-ერთი მიზეზი მგონია ამისა ის, რომ დღეს განსხვავებულ პირობებში ჰყავთ წინა ხელისუფლების წარმომადგენელი პატიმრები და განსხვავებულ პირობებში ჰყავთ ჩვეულებრივი პატიმრები. წინა ხელისუფლების წარმომადგენლებზე არის საერთაშორისო ზეწოლა, ამიტომ მათთვის არის შექმნილი განსაკუთრებული პირობები. ძალიან ცუდია, რომ ეს ზეწოლა არ არსებობს ჩვეულებრივ პატიმრებზე და ორმაგი სტანდარტები აქვთ იმ ექსპერტებსაც, რომლებიც განცხადებებს აკეთებენ დღეს პატიმართა მდგომარეობაზე. თუნდაც ახლა ვუსმინე, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადება, როცა აგერ პარალელურ რეჟიმში არასრულწლოვანი გარდაიცვალა. დასავლელი ექსპერტები იმაზე აკეთებენ განცხადებას, მერაბიშვილის პატიმრობას თვლიან თუ არა მიზანშეწონილად და არ კეთდება განცხადება იმ დანარჩენ პრობლემებზე, რომელიც ციხეებში არის და თუნდაც დანარჩენ პატიმრებთან დაკავშირებით. ამ ექსპერტებს რატომ არ აინტერესებთ, როდესაც შედიან და ნახულობენ იგივე მერაბიშვილს, იგივე ახალაიას, რა პირობებში არიან დანარჩენი პატიმრები. ეს რომ არის აშკარად მიკერძოებული მიდგომები, აი, ეს არის ძალიან ცუდი. მათ რომ ზოგადი მდგომარეობა აინტერესებდეთ, ზოგადად როგორ ხდება ციხეებში ადამიანების გაშვება, რამდენად სწორია ასე ხშირად გამოყენება პატიმრობის, აი, ეს პრობლემები რომ აინტერესებდეთ, მაშინ ბუნებრივია, ჩავთვლიდი, რომ მათი ეს შეშფოთება არის სამართლიანი. როდესაც ეს არ ჩანს, მაშინ აქედან იკვეთება ერთი რამ, რომ არის აშკარა ინტერესები. ეს არის მიკერძოებული და ორმაგი სტანდარტებით გაკეთებული დასკვნები. ციხეებში პრობლემები ბევრია, არის პრობლემები, რომლებიც ძველი ხელისუფლებიდან არის გადმოყოლილი და დღესაც აქტუალურია.

***— უფრო კონკრეტულად, რა პრობლემებს გულისხმობთ?***



— თუნდაც იგივე ის თანამშრომლები, რომლებიც ბაჩო ახალაიას გუნდს წარმოადგენდნენ და რომლებმაც შექმნეს სისტემა წამების და ღირსების შემლახავი მოპყრობის, მათი ნაწილი დღეს ისევ დარჩენილია სისტემაში და მათი დროული გათავისუფლება არ ხდება. რა თქმა უნდა, ეს პატიმრებისთვის ქმნის აღშფოთების საფუძველს, რეაგირების საფუძველს. თუ წინათ ციხეთა სისტემა წამებაზე და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე იყო დაფუძნებული და ამიტომ პატიმარი ვერ ბედავდა რეაგირებას ჯალათების დანახვაზე და ასე შემდგომ. დღეს, როდესაც იციან, რომ ადმინისტრაცია მათ მიმართ ასეთ მეთოდებს არ გამოიყენებს და ვეღარ გამოიყენებს, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პროვოკაციებსაც, ადგილი ჰქონდეს ანგარიშსწორების მცდელობასაც და ამ შემთხვევაში დაზარალებული დარჩება პატიმარი. რადგან თუ პატიმარი აღმოჩნდება თავდამსხმელი მის ყოფილ ჯალათზე, ბუნებრივია, პატიმარს ამაზე კიდევ მოუწევს პასუხის გება.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ რამდენად იზიარებთ და ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სოზარ სუბარის მინისტრობის პერიოდში ციხეში გაძლიერდნენ ქურდული სამყაროს წარმომადგენლები და დღეს ციხეს ისინი მართავენო...***

— ქურდული სამყაროს წარმომადგენლები, მე როგორც ვიცი, საქართველოში საერთოდ აღარ არიან. ანუ რას ვგულისხმობ, იმას, ვისაც კანონიერი ქურდები ერქვა, ამ ადამიანებმა ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დატოვეს ქვეყანა და გავიდნენ ქვეყნის გარეთ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, იმიტომ, რომ თქვენ იცით კანონი-223 ტრიმი, სადაც მხოლოდ და მხოლოდ შეხედულებების გამო, შესაძლებელია ადამიანი იყოს ციხეში. ამ ე.წ. კანონიერმა ქურდებმა როდესაც დატოვეს ქვეყანა, მარტო ქვეყანა კი არ დაუტოვებიათ, მათმა უმრავლესობამ მოქალაქეობაც დატოვა, რომ ამ კანონით არ აღმოჩენილიყვნენ ისინი დაპატიმრებული სხვა ქვეყნებში. ისე რომ, დღეს თითონ და მე ესეც არ ვიცი, თუ არის დარჩენილი საქართველოში, რადგან ასეთი ადამიანის გათავისუფლებასთან, პირდაპირ ჭიშკრიდან აბრუნებენ სასჯელაღსრულების სისტემაში. ეს მახინჯი მუხლია, მას იყენებენ პოლიტიკური ნიშნითაც და ამ მუხლით დღეს ქალბატონებიც არიან ციხეებში და ზიან პროკურორები და ასე შემდგომ. თუმცა იმხელა პიარი ჰქონდა ამ მუხლს, რომ ჩვენ კრიმინალურ სამყაროს ვებრძვით, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ პიარისგან ვერ გათავისუფლდა და ვერ მოახერხა ამ უსამართლო და უკანონო მუხლის გაუქმება. აქედან გამომდინარე, მე არ ვიცი, კანონიერი ქურდები ვინ არიან საქართველოში დარჩენილები და ციხეში მე არ ვიცი ეგეთი გვარი და სახელი კანონიერი ქურდის, ვინც ციხეში ზის. აქ ალბათ საუბარი არის უფრო მეტად მაყურებლებზე, რომელიც ყოველთვის იყო ციხეში და ყოველთვის იქნება. რა სტატუსს დავარქმევთ მას, ავტორიტეტს თუ მაყურებელს, ამისი მოსპობა ციხეებში შეუძლებელია. ასეთი პრეცედენტი არ არსებობს. არც ერთი ქვეყანა არ არის, სადაც ასეთი გამორჩეული ლიდერები არ იყვნენ საკნებში თუ ციხეებში. მთავარი არის ის, თუ მას როგორ იყენებს ხელისუფლება და ადმინისტრაცია, ან როგორ იქცევა ეს გამორჩეული ადამიანი. თუ ის არღვევს კანონს, ან თუ მას ადმინისტრაცია იყენებს უკანონო მიზნისთვის...

***— მაგალითად, რისთვის?***

— სხვა პატიმრების დაჩაგრისთვის, შეურაცხყოფისთვის, ან გამოძიების გახსნისთვის, ისეთი მექანიზმებისთვის იყენებს, რაც კანონსაწინააღმდეგოა, ეს, რა თქმა უნდა, არის პრობლემა და არის ძალიან ცუდი. თუმცა მინდა გითხრათ, რომ წინა ხელისუფლება პატიმრებზე ზემოქმედების ერთ-ერთ ბერკეტად, სწორედ მაყურებლების ინსტიტუტს იყენებდა. გარდა იმისა, რომ თვითონ შედიოდა ყოველდღიურად, სცემდა და აწამებდა, ასევე საკნებში მყოფი მაყურებლები იყენებდნენ ფიზიკურ ძალას, იმ პატიმართა მიმართ, რომელთაც ან პროტესტი ჰქონდა ადმინისტრაციის მიმართ და ჩუმად მაინც იძახოდა, ან ადვოკატის მეშვეობით უნდოდა ინფორმაციის მიწოდება, თუ რა ხდებოდა ციხეში, მათ მიმართ ახორციელებდნენ ზონდერის ფუნქციებს.

***— რა ხდება დღეს ამ კუთხით?***

— როგორც მე ვიცი, დღეს ასე აღარ არის. დღევანდელი ადმინისტრაცია ველარ აკონტროლებს მაყურებლებს და შესაძლოა ამის გამო ისინი რაღაც სხვა უკანონობებით არიან დაკავებულნი, ეს მე არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ამისთვის უნდა იყოს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ჩვენამდე არ მოდის. ახლა საკანში თუ ეყოლებათ გამორჩეული პირი, რომელიც მათ დაეხმარება ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში, რა თქმა უნდა, კანონიერი გზით, ის ვისაც ჭკუას დაეკითხება პატიმარი, ამაში ცუდი არაფერი არ არის, მთავარია, რომ ეს ყველაფერი უკანონო ქმედებაში არ გადაიზარდოს. ხოლო თუკი ასეთი ფაქტები არსებობს, ამას ყველაზე მეტად გამოავლენს ის მონიტორინგის ჯგუფი, ის გამჭვირვალობა, რომელიც აუცილებელია ციხეებში. როდესაც ადმინისტრაცია და სამინისტრო არ მიდის ამაზე, რომ ასეთი ჯგუფი არსებობდეს, ესე იგი ჩნდება ეჭვი, რომ მათ რაღაცა აქვთ ციხეებში დასამალი. აუცილებელია დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი და არა ისე, მიშას დროს რომ იყო, გააუქმა ეს ექსპერტთა ჯგუფი და თავისი ნდობით აღჭურვილი ჯგუფი შექმნა, რომელსაც აბსოლუტურად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მართლაც და მიუკერძოებელი ადამიანების ჯგუფი უნდა არსებობდეს, რომელიც გააკონტროლებს, რა ხდება ციხეებში, გამოიტანს იქიდან ინფორმაციას და ხელისუფლებას მოსთხოვს ამაზე რეაგირებას. ეს რადგან არ არსებობს, ეს იწვევს სერიოზულ ეჭვებს – რატომ არ არსებობს ეს?! გამოდის, რომ რაღაცას მალავენ.

***— თქვენამდე არ მოდის ინფორმაციები კანონდარღვევების შესახებ?***

— ხან მოდის, ხან არა, მაგრამ რაც მოდის, იმისი გადამოწმების საშუალებაც არა გვაქვს, ვერ ვახერხებთ ამას. შეხვედრები არა გვაქვს პატიმრებთან, მხოლოდ მოარული ხმებით ვიცით ინფორმაცია. უნდა დაისვას საკითხი, რატომ არ არის დამოუკიდებელი საბჭო და ჟურნალისტებიც თუ შეიტანთ ამაში თქვენს წვლილს, კარგი იქნება. ასეთი საბჭო ხომ არსებობდა შევარდნაძის დროს, როცა მიშა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო? დღეს რატომ არ უნდა არსებობდეს ასეთი საბჭო?!

***— იმისი თქმა გინდათ, რომ არ არის პოლიტიკური ნება?***

— ამისი პოლიტიკური ნება აშკარად არ ჩანს.

### ხუთი შეკითხვა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს



საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე სოფლის მეურნეობა ყოველთვის ეკონომიკის ძირითადი და ტრადიციული დარგი იყო. დღემდე ამ დარგში ჯერ კიდევ შემონახულია ქართველი ერის მრავალდარგოვანი კულტურული მემკვიდრეობა, რომლითაც საქართველო ამაყობს: ქართული ვაზის, ხორბლის, ხილის ენდემური ჯიშები, ქართული ფუტკარი, ცხოველთა ქართული აბორიგენული ჯიშები, რომლებიც განსაკუთრებული გენეტიკური თვისებების გამო საუკეთესო სასელექციო მასალაა. დღემდე შემორჩენილი ძველი ჩვეულებები და ადათ-წესები, დაგვეთანხმებით, ეს არის ის უდიდესი კულტურა და ტრადიცია, რაც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. აღიარებული სლოგანი „ბიომრავალფეროვნების დაცვა მდგრადი განვითარების გასაღებია“ სწორედ საქართველოს მსგავს ქვეყნებში იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას.

სამწუხაროდ, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობის იგნორირებამ და დაშვებულმა (ხშირად წინასწარ დაგეგმილმა) უამრავმა შეცდომამ, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა და დღეს, კლასიკური სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების თითქმის 80 პროცენტზე მეტი უცხოეთიდან შემოდის, თანაც ბევრი მათგანი სრულიად უკონტროლოდ.

ჩვენმა მოსახლეობამ საპარლამენტო არჩევნებზე მხარი დაუჭირა კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელმაც პროგრამით პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის აღორძინება წარმოადგინა.

ჩვენ ვთხოვთ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, გარკვევით დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, თუ როგორ წარმოუდგენიათ საქართველოს თანამედროვე, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის აღორძინება და გაგვცენ პასუხი ამ კონკრეტულ შეკითხვებზე:

1. რეალურად მიგაჩნიათ თუ არა თანამედროვე, ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის აღორძინება საქართველოსთვის პრიორიტეტად;
2. მხარს დაუჭერთ თუ არა სოფლის მეურნეობის რეალურ სუფსიდირებას, განსაკუთრებით მთიან, სასაზღვრო ზონებში;
3. ეთანხმებით თუ არა საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდაქმნას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროდ, გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენა-განვითარებისათვის;
4. მხარს დაუჭერთ თუ არა სოფლის მეურნეობის მიმართულების ტრადიციული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენას, თანამედროვე, დამოუკიდებელ სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრებად მათი ექსპერიმენტული ბაზებით, სანერგეებით, სათბურებით, ლაბორატორიებით, რომლებსაც სამეცნიერო-ადმინისტრაციულ და საფინანსო ადმინისტრირებას გაუწევს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, ხოლო სამეცნიერო ხელმძღვანელობას – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
5. მხარს დაუჭერთ თუ არა თაღლითურად გასხვისებული აგრარული უნივერსიტეტის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტად აღდგენას.

პატივისცემით, მურმან ქურიძე
აიპ საქართველოს ენოლოგთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
მობ.: 599 93 40 40.

# „ჩვენი პროტესტის ადრესატი პირადად პუტინია!“

ნათია ხურცილავა

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების საპროტესტო აქცია გაიმართა. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა გუშინ თავინათი თვითმმართველობის ორგანიზებით რუსეთის მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გამართეს.**



სტუდენტებმა ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან შექმნილი ვითარება გააპროტესტეს – უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში საქართველოს რუკის კონტურზე, სახელმწიფო ჰიმნის ფონზე ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს და ხელი მოაწერეს საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართვას „ვგმობ ოკუპაციას!“

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ვუერთდებით იმ 13 უნივერსიტეტს, რომელიც მშვიდობიანი აქციით აპროტესტებს მცოცავ ოკუპაციას და ყველა სტუდენტს მოვუწოდებთ, გააქტიურდნენ და გააპროტესტონ რუსეთის ძალადობრივი ქმედება, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა სოფო ჩიტაძემ.

გუშინ კიდევ ერთი საპროტესტო აქცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მცოცავი ოკუპაცია გააპროტესტეს. სტუდენტებმა სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში საქართველოს რუკის გამოსახულების წრე შეკრეს და დვანსა და დიცში მიმდინარე მოვლენები ამ ფორმით გააპროტესტეს.

„შეჩერდეს ოკუპაცია,“ „არა ოკუპაციას,“ „შორს ხელები საქართველოს საზღვრისგან“, – ამ შინაარსის ტრანსპარანტებით სკანდირებდნენ სტუდენტები.

სტუდენტების აქცია უნივერსიტეტის ეზოში მავთულხლართებისა და საქართველოს ჰიმნის ფონზე გაიმართა.

**თორნიკე ბაქრაძე, სტუდენტი:**

– დღეს ჩვენი მოვალეობაა, რომ ჩვენი სამშობლოს გვერდით ვიყოთ, გავაპროტესტოთ ის, რაც უშუალოდ ჩვენ გვეხება. წარმოიდგინეთ, შუაგულ საქართველოში ოკუპანტი ქვეყანა მავთულხლართებს გვიბამს და ასე გვყოფს შუაზე. ეს რას ნიშნავს, 21-ე საუკუნეში ხომ უნდა ესმოდეს ყველას კარგად, გნებავთ ხელისუფლებას და გნებავთ საერთაშორისო საზოგადოებას. მე ვფიქრობ, რომ ადეკვატური არ არის რეაქციები, შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ არ ვართ მოწოდების სიმაღლეზე. რუსეთი არის ოკუპანტი და ამ ტიტულს ის, როგორც ღირსებას, ისე ატარებს, არც კი ეთაკილება, მაგრამ დანარჩენი მშვიდობისმყოფელი, დემოკრატი მსოფლიო სად არის?! დღეს ძალიან გაბრაზებული ვარ, რატომ? შეუძლებელია, რომ ამას მშვიდად უყურო. ეს იცით როგორ არის, საკუთარ სხეულს ნელ-ნელა რომ გაჭრიდნენ. ჩემი პროტესტის ადრესატი პირადად პუტინია. კრემლის პოლიტიკა, რომელიც ჩვენნაირ პატარა ერებს საფრთხეს უქმნის, ყოფნა-არყოფნის წინაშე აყენებს. ჩვენ, სტუდენტები, გავაგრძელებთ ჩვენს მშვიდობიან პროტესტს, თუმცა არ მგონია, რომ ამით რამე შედეგი დადგეს.

**გუგა მკერვალიშვილი, სტუდენტი:**

– ჩემი პროტესტის მთავარი ადრესატი კრემლი და მისი ხელმძღვანელია. მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. არ შეიძლება ამას მშვიდად უყურებდე და შენი პოზიცია არ დააფიქსირო. მე ვფიქრობ, სტუდენტობა ამ შემთხვევაში გამოვიდა სწორედ იმიტომ, რომ თავისი პოზიცია დააფიქსიროს. ჩვენ დვანშიც კი ვიყავით ჩასულები და ადგილზე ჩვენი თვალით ვნახეთ ის საშინელი სიტუაცია, რომელიც იქ არის. რუსები ნელ-ნელა მოდიან და გვიახლოვდებიან. ადამიანების საცხოვრებელი სახლ-კარი გაყვეს, საფლავები მიიტაცეს, ყოველ შემთხვევაში, გავლებულ ზოლს მიღმა აღმოჩნდა. შეუძლებელია, რომ ასე გაგრძელდეს. ჩვენ ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ და ოკუპაციას – არა ვუთხარით. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, გამოვდივართ სტუდენტები და პუტინის საოკუპაციო პოლიტიკას არას ვეუბნებით.

ქართველი ხელოვანები და სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტები რუსი მესაზღვრეების მიერ მავთულხლართების გაბმის გასაპროტესტებლად დვანში ჩასულები იყვნენ.

მათ სოლიდარობა გამოხატეს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და სპეციალური დახმარების პროგრამა შეიმუშავეს. როგორც სტუდენტები აცხადებენ, ისინი დვანში მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარულ აქციებს გამართავენ.

ქართული თეატრის, კინოს, მუსიკის წარმომადგენლები და მხატვრები იმ ადგილას მივიდნენ, სადაც რუსმა მესაზღვრეებმა რამდენიმე დღით შეწყვიტეს მავთულხლართების გამბის პროცესი.

როგორც სტუდენტები ჩვენთან საუბარში ამბობენ, აღნიშნული აქციით ისინი ცდილობენ მსოფლიოს დაანახონ, რომ ახლა ხალხებს შორის ხელოვნური ბარიერების და ახალი ბერლინის კედლის გავლების დრო აღარ არის.

**ნუცა გვეტაძე, სტუდენტი:**

– სტუდენტები გამოვედით და მცოცავ ოკუპაციას არას ვეუბნებით. ჩვენი მეგობრები სხვადასხვა სასწავლებლებიდან დვანსა და დიცში იყვნენ ჩასულები. ჩვენი მიზანია, რომ ამ აქციებით თანადგომა გამოვუხატოთ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც დააზარალა რუსულმა პოლიტიკამ. ჩვენ მავთულხლართებს 21-ე საუკუნეში არას ვეუბნებით.

სტუდენტების აქციაზე სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება – არ მიღებაზეც იყო მსჯელობა. თუმცა, ამ შემთხვევაში ახალგაზრდების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. სტუდენტთა ნაწილი მზად არის ონლაინ პეტიციას ხელი მოაწეროს და ასე გამოხატოს თავისი პოზიცია.

როგორც ცნობილია, პეტიცია არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა შეიმუშავეს. პეტიციის ერთ-ერთი ავტორი ნინო ლომჯარიაა.

„სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს, რომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე საქართველოს უარი კარგი შანსი იქნება იმისთვის, რომ საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ მსოფლიოს ყველა ქვეყანამ შეიტყოს.

პეტიციის ავტორები, როგორც აღვნიშნეთ, არ გამორიცხავენ, რომ მშვიდობიანი აქციები გამართონ სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ.

ფეისბუქზე გავრცელებული მიმართვის ავტორები საქართველოს ოკუპაციისა და ოლიმპიური თამაშების მეჩირაღდნედ 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილის შერჩევის ფონზე ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება ყოვლად დაუშვებელია.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა, საზოგადოებამ დააფიქსიროს თავისი მკვეთრი პოზიცია, დამოკიდებულება ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ერთადერთი ქმედება, რასაც ჩვენ განვახორციელებთ, ალბათ უახლოეს დღეებში შევხედავთ, რამდენად იქნება აღნიშნული პეტიცია მხარდაჭერილი. შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება გავმართოთ სხვადასხვა ტიპის აქცია. ასევე ვაპირებთ შევხვდეთ და გავესაუბროთ შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს. ვფიქრობ, რომ ეს არის უნიკალური შანსი, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება მივიპყროთ იმ განვითარებულ მოვლენებზე, რაც ხდება საქართველოში, – აღნიშნავს ლომჯარია.

ლომჯარიამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელმა ეკა გიგაურმა, რომელიც ასევე არის ავტორი აღნიშნული პეტიციისა, მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდეს, შეუერთდნენ ონლაინ პეტიციას, რომლითაც სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს მონაწილეობას აპროტესტებენ.

– მინდა ვთხოვო საქართველოს მოქალაქეებს, იაქტიურონ და თავიანთი პოზიცია გამოხატონ, თუ თვლიან ისინი, რომ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, მაშინ უნდა შემოუერთდნენ ამ პეტიციას. ამ პეტიციის მიზანი არ ის, რომ საქართველოს მთავრობამ თავის გადაწყვეტილებას უნდა გადახედოს ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, – აცხადებს ეკა გიგაური.

ცნობილია, რომ პეტიციას ხელი უკვე 5000-ზე მეტმა მოქალაქემ მოაწერა, ისინი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვს, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრ ლევან ყიფიანს მიმართავენ. როგორც ლომჯარია აღნიშნავს, პეტიციის მიზანი მთავრობის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენაა, რათა საქართველომ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს.

– თუკი ეს არ მოხდება და ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება ხელისუფლების მხრიდან, ვფიქრობ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობამ, ათი ათასობით მოქალაქემ დააფიქსიროს თავისი პოზიცია და დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი, – ამბობს ნინო ლომჯარია.პეტიციის ავტორები პრესასთან საუბარში აცხადებენ, რომ მინიმუმ 10 ათასი ხელმოწერის შეგროვების შემდეგ საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს და ოლიმპიურ კომიტეტს ოფიციალურად მიმართავენ და ხელმოწერებს წარუდგენენ.

– სხვათა შორის, ძალიან ბევრი საჯარო მოხელეც არის ამ ხელმომწერებში. ყველას აქვს შესაძლებლობა, ნახოს ხელმომწერთა სია. ანუ თვითონ მთავრობაში მომუშავე ადამიანების ნაწილსაც აქვს ეს პოზიცია, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

თუ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, პეტიციის ორგანიზატორები არ გამორიცხავენ, რომ ამ მოთხოვნით აქციები გაიმართოს.

სტუდენტები აცხადებენ, რომ იმ ფონზე, როდესაც მავთულხლართებით ოკუპირებულია რამდენიმე ქართული სოფელი და რამდენიმე ჰექტარი მიწა, მათთვის მიუღებელია სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება, თითქოს არაფერი მომხდარა.

**სტუდენტები საქართველოსთვის**

2013 წლის , 9 ოქტომბერს 13:00 სთ-ზე ტბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში მოეწყობა საპროტესტო, მშვიდობიანი შეკრება მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ, რათა ერთად მხარი დავუჭიროთ საქართველოს ერთიანობის იდეას და სიმბოლურად გადავჭრათ მავთულხლართები, რის შემდგომაც, ცოცხალი ჯაჭვით, სახელმწიფო ჰიმნის ფონზე ავაგებთ ერთიანი საქართველოს კედელს.

სტუდენტები საქართველოსთვის!

599 89 00 09 მარი ხანიკაევი

# კახა ძაგანია: „ოლიმპიადაში ფარული პოლიტიკური ნაღმია, რომელიც სოჭში აფეთქდება“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

იმისთვის არის მობილიზებული, რომ ნაცმოძრაობა როგორმე ფეხზე წამოაყენოს.

***– სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი საკმაოდ აქტიურად განიხილება პოლიტიკურ წრეებში. მემარცხენე ალიანსს რა პოზიცია აქვს ამ საკითხთან მიმართებაში? ირაკლი ალასანია ფიქრობს, რომ ეს საქართველოს გამოცდაა გარკვეულწილად.***

– აი, ამ საკითხშიც, მე ვფიქრობ, რომ მთავრობას არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია და მისი გადაწყვეტილება ბუნდოვანია. ის განცხადება, რომელიც მთავრობამ გააკეთა, ეს იყო აბსურდული. ციტირებას ვახდენ, დავაკვირდებით, თუ რუსეთი დაიწყებს სოჭის ოლიმპიადის პოლიტიზაციას, მაშინ ზომებს მივიღებთო. დაკვირვების ხაზი რა არის, სად გადის. რა უნდა გააკეთოს კიდევ რუსეთმა, რომ საქართველოს მთავრობამ ოლიმპიადაში არმონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღოს?!. რა არის ის რუბიკონი, რომელზე რუსეთის გადასვლის შემდეგაც ჩვენ ვიტყვით, ჩვენ უკვე ამოვწურეთ ყველა რესურსი და ამიტომ არ მივიღებთ მონაწილეობას ოლიმპიადაში. ასეთი გაუგებარი, ჩამოუყალიბებელი და მფრთხალი ოპოზიციები, არა მკაფიო და გაუგებარი ქმედებები ძალიან ვნებს არა მარტო საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებს, არამედ საერთაშორისო დონეზეც არ არის ეს ქვეყნისთვის კარგი. ჩვენ საზოგადოებას საკმაოდ დდი ხნის წინ ვუთხარით, რომ ოლიმპიადა სპორტული ღონისძიებაა, პოლიტიკურ-სპორტული, რომელსაც ბევრი სახელმწიფო სწორედ პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებდა და იმისთვის, რომ თავისი საგარეო კურსისთვის ხაზი გაესვა. ეს იგივე ავლანელებმა გააკეთეს მოსკოვის ოლიმპიადის დროს, როდესაც 1980 წელს, მოსკოვში ტარდებოდა ოლიმპიადა და ავღანეთში საბჭოტა ჯარების შეჭრის გამო აშშ-მ და რიგმა სხვა ქვეყნებმა ბოიკოტი გამოუცხადეს რუსეთში ჩასატარებელ ოლიმპიადას. ასევე შემდგომში თვითონ რუსეთმაც გამოუცხადა ამერიკას ბოიკოტი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის პოლიტიკურ-სპორტული ღონისძიება და უნდა მივბაძოთ ავღანელებს და მივიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა ვანახოთ კიდევ ერთხელ მთელ მსოფლიოს, რომ არ გვავიწყდება აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი არის ქართული ტერიტორია და ნურც თქვენ დაივიწყებთ. ამ ოლიმპიადაში ჩადებულია უამრავი ფარული პოლიტიკური ნაღმი, რომელიც სავარაუდოდ, სოჭში აფეთქდება. რუსეთი ეცდება კიდევ ერთხელ დაარწმუნოს მსოფლიო, რომ ამ მიმართულებით არანაირი პრობლემა არ არის და მას საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული არ აქვს. რუსეთი ამას აუცილებლად დააფიქსირებს. ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს, სპორტსმენები რა შუაში არიანო. ზამთრის ოლიმპიადაზე სულ ოთხი სპორტსმენი მიდის. ერთი მოციგურავე გოგონა, რომელმაც ღიად თქვა, რაც ჩემი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება და როგორც ხელისუფლება გადაწყვეტს, ისე მოვიქცევიო. დანარჩენი, ორი თუ სამი მოთხილამურე უნდა წავიდეს. სპორტსმენებისთვის არ არის ეს გაკეთებული, ეს ქვეყნისთვის კეთდება. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნისთვის უკეთესია პოლიტიკური შეფასება მისცეს სოჭის ოლიმპიადას და ჩვენთვის სასარგებლო პოზიცია დავაფიქსიროთ, რადგან თვითონ რუსეთი პოლიტიკურ ელფერს აძლევს ამ ოლიმპიადას.

***– სოჭის ოლიმპაიადაში ქართველების მონაწილეობა უარყოფით გავლენას იქონიებს მარგველაშვილის ხმებზე?***

– რა თქმა უნდა. ისეთი უარყოფითი რეიტინგი ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას ხალხში, რომ მის ასე მალე რეინკარნაციის დასაწყისს არავინ ელოდა. მმართველმა კოალიციამ უნდა მეტი იმუშავოს იმ კუთხით, რომ ნაცმოძრაობამ ყველა დანაშაულისთვის პასუხი აგოს და ქვეყანაზე გულშემატკივარ ძალად ვერ წარმოჩინდეს.

***– მმართველი გუნდის შიგნით დაპირისპირებაზე სულ უფრო ბევრს საუბრობენ. ითქვა, რომ ლიდერებით ივანიშვილიც უკმაყოფილოა. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?***

– ნამდვილად არ ვიცი, კონკრეტული არაფერი. ბუნებრივია, რომ ეს ასე იქნება. ერთ პარტიაში ხდება ხოლმე გადაადგილებები და კოალიციაში მით უმეტეს, იქნება. სხვადასხვა პლატფორმის და პოლიტიკური ისტორიის ძალები არიან კოალიციაში გაერთიანებული. ამიტომ მოსალოდნელია გუნდის შიგნით მღელვარებები. ამას პრემიერიც უნდა შეეგუოს. მოგეხსენებათ, პოლიტიკური ბრძოლა დაუნდობელია და ხშირად გადის კანონის ჩარჩოებიდან.

# გიორგი მარგველაშვილი ზუგდიდელებს ბიძინა ივანიშვილმა წარუდგინა

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა სამეგრელოში ამომრჩეველთან შეხვედრა გუშინ ზუგდიდის შემაჯამებელი შეხვედრით დაასრულა, რასაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც დაესწრო, – აცნობეს „მედიანიუსს“ პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბიდან. გიორგი მარგველაშვილი ასევე ხობის მოსახლეობას შეხვდა და საპრეზიდენტო პროგრამის პრიორიტეტები გააცნო.



ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დადიანების სასახლესთან შეკრებილ მხარდამჭერებს სიტყვით მიმართა და გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

პრემიერ-მინისტრმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. ბიძინა ივანიშვილმა ასევე ყურადღება გაამახვილა სამეგრელოში აღმოჩენილ სამალავებზე და აღნიშნა, რომ ყველასთვის ნათელია თუ რა პირობებში უხდებოდა ცხოვრება ამ რეგიონის მოსახლეობას. „დღეს კი ჩვენ მივიღეთ კულტურული პოლიცია, ჩვენ მივაღწიეთ და ქვეყანაში აღვადგინეთ სამართლიანობის განცდა,“-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ზუგდიდში შეკრებილ საზოგადოებას პირობა მისცა, რომ 20 წელი ხალხის გვერდით იქნება, სანამ საქართველო არ გაძლიერდება და აყვავდება.

კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი ამომრჩევლებთან შეხვედრას დღეს სვანეთში გამართავს.

**მედიანიუსი**

# სასწრაფო დახმარება სახელმწიფო მართვაში გადადის

მერი ნამორაძე

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 355 მილიონი ლარით იზრდება, რაც პროექტების უწყვეტად განხორციელებას მოხმარდება. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. 2013 წელს ახალი პროექტების განვითარება ეტაპებად იქნა დაწყებული, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვა, პენსიებისა და სოციალური გასაცემლების ზრდა. სწორედ ამ პროექტების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად გახარჯავს სამინისტრო გაზრდილ ბიუჯეტს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროექტები პროგრესის გარეშე განხორციელდება. მინისტრი პირობას დებს, რომ მომავალი წელიც ინოვაციური და წარმატებული პროექტების წელი იქნება.

ჟურნალისტები ამჯერადაც დაინტერესდნენ სადაზღვევო კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება-ვერშესრულებით, განსაკუთრებით, რეგიონებში. ორ-სამ კომპანიას, რომელიც მინისტრმა არ დააკონკრეტა, პირველი სექტემბრისთვის უნდა დაესრულებინა საავადმყოფოების მშენებლობა. ამის გამო შესაბამისი საჯარიმო სანქციები ამოქმედებულია. თუმცა, მინისტრმა იქვე სადაზღვევო ინდუსტრიასთან შეთანხმების შესახებ აღნიშნა, რომელიც სამუშაო ჯგუფის შექმნას ითვალისწინებდა დავალიანების გასტუმრების თაობაზე. მეტწილად დავალიანებები სოფლის ექიმებთან და სასწრაფოებთან გასტუმრებულია. რაც შეეხება შეუსრულებელ ინფრასტრუქტურულ ვალდებულებებს, მინისტრი მზაობას გამოთქვამს, წავიდეს მორატორიუმზე, ერთგვარ გადავადებაზე, რათა არ შეიქმნას მართვის ბარიერი და შედეგზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება შეძლონ სადაზღვევო კომპანიებმა.

სერგეენკომ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში ინოვაციური მიდგომებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მოიაზრებს სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ფონდების ჩამოყალიბებას, როდესაც ინვესტიციებს და დანახარჯებს გაინაწილებენ კერძო და სახელმწიფო კომპანიები. ასეთი პროექტი განხორციელება იგეგმება ლისის ტბის ონკოცენტრში, „რესპუბლიკურ" საავადმყოფოში და ბაზალეთის რეაბილიტაციის ცენტრში. მინისტრის განმარტებით, ასეთ პროექტებისას ხდება სააქციო საზოგადოების მაგვარი სტრუქტურის ჩამოყალიბება, სახელმწიფო უძრავ ქონებას დებს, ინვესტორს კი სთავაზობს შენობა-ნაგებობების მოწესრიგებას და მართვაში ერთობლივ მონაწილეობას. ვალდებულებები იყოფა — სარემონტო სამუშაოები კეთდება კერძო ინვესტორის მიერ, აღჭურვაში თანხას სახელმწიფო დებს. ერთი საწოლის ფუნქციონირებისათვის სტანდარტებით საჭიროა 70-80 კვადრატული მეტრი ფართი, რომელშიაც დამხმარე სათავსოებიც მოიაზრება. კლინიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთი კვადრატული მეტრი სამედიცინო ფართის ღირებულება ქართულ ბაზარზე 1000-დან 3000 ლარამდე მერყეობს. სერგეენკოს თქმით, ამ განფასების მიხედვით განაწილდება ინვესტიცია კერძო ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის.

ამასთან, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო 3 ვარიანტს განიხილავს. ერთ-ერთი ვარიანტი აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების კანადელი ინვესტორებისგან გამოსყიდვა და სახელმწიფოსთვის დაბრუნებაა.



— სამწუხაროდ, არსებული პროექტი, რომელსაც შარშან სექტემბერში ერთი წინადადება დაემატა, რითიც ფაქტობრივად, კაბალური გახდა ჩვენთვის, გვაიძულებს, რომ უამრავ სხვადასხვა ვარიანტის განხილვაზე წავიდეთ. ეს ვარიანტებია 3 ჯგუფის — პირველია, ამ კონტრაქტის გამოსყიდვა და სახელმწიფოსთვის დაბრუნება, მეორე ვარიანტი შედარებით მოცულობითია და მესამე — არსებული კონტრაქტი გაგრძელება და განახლებაა, რომელიც ასევე მიუღებელი არ არის, თუმცა თავად სამედიცინო პერსონალთან შეთანხმება სჭირდება და არ ვფიქრობთ, რომ მათ გარეშე გადაწყვეტილებები მივიღოთ, — განაცხადა სერგეენკომ.

სამინისტრომ დაასრულა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, რომლის მიხედვით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ეს სამსახური სახელმწიფო მართვაში გადადის. სამინისტრო მივიდა დასკვნამდე, რომ ეს აუცილებელია, განსხვავებით სტაციონარული ინფრასტრუქტურისაგან, რადგან სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემა ერთიან კოორდინაციას საჭიროებს: — ბიუჯეტში უკვე ჩადებულია თანხა მთელი საქართველოს მასშტაბით ავტოპარკის განახლებისათვის, მოლაპარაკებები სრულდება კერძო სადაზღვევო კომპანიებთან და წლის ბოლოსთვის პრობლემები საბოლოოდ მოგვარდება განახლებული ავტოპარკით, ერთიანი მართვით და იმის მიღწევით, რომ პაციენტი არ დაჰყავდეთ კარდაკარ საავადმყოფოებში და პირდაპირ, უმოკლეს ვადაში მიიღოს მან კვალიფიციური დახმარება, — განაცხადა სერგეენკომ.

ამასთან, უმოკლეს ხანში ჩამოყალიბდება სახელმწიფო კომპანია, რომელიც კონფლიქტის რეგიონებისპირა სოფლის ამბულატორიების მართვას აიღებს თავზე. მათ უმრავლესობას დღეს იურიდიული სტატუსიც არ გააჩნია და ელექტროენერგიის ფულს ვერ იხდიან. თუმცა, მინისტრის თქმით, სამინისტროს არ აქვს დოგმატური მოთხოვნა, ყველაფერი სახელმწიფოს მართვაში აღმოჩნდეს. თუ მმართველი ასრულებს პირობას, დარჩება ისე, როგორც არსებობს. თუ ვერ ასრულებს, სახელმწიფო იზრუნებს, მოგვარდეს პრობლემები მის მმართველთან. თუ მაინც ვერ მოგვარდა, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გადავა ამბულატორია სახელმწიფო მართვაში.

მინისტრი სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრი „შუა ქალაქში" შექმნილ მდგომარეობასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს არის შედეგი სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაუაზრებელი გასხვისებისა.

— ასეთი ტიპის დავებს აქვთ სამნაწილიანი ახლად შექმნილი ფორმატი, რომელშიც მონაწილეობს დამქირავებელი, დაქირავებული და პროფკავშირი. იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო სერვისების უწყვეტობას საფრთხე შეექმნება, სახელმწიფო მის ხელთ არსებულ ბერკეტებს გამოიყენებს და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, იაშვილის კლინიკის შემთხვევაში ნახეთ, — განაცხადა მინისტრმა.

გუშინ მედია ნარკოდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობისთვის თანხების არგამოყოფის მიზეზით დაინტერესდა. სერგეენკომ აღნიშნა, რომ ზოგადად ნარკომანიის მართვა სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტად რჩება. რეაბილიტაციის ცენტრი ნარკომანიის მართვის 5 მთავარი კომპონენტიდან ერთ-ერთია და არა ერთადერთი. პრობლემის სამართავად არსებობს მწყობრი სტრატეგია, რომელიც მოიცავს იერარქიულ მიდგომას — ვიდრე ერთ ეტაპს არ დაასრულებ, მანამადე ვერ გადახვალ მეორეზე.

— რეაბილიტაციის ცენტრი დამაგვირგვინებელი, დამასრულებელი ეტაპია. იმისათვის, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდეს, კარგად უნდა იყოს მენეჯირებული პირველი ოთხი — დეტოქსიკაცია, ჩანაცვლებითი თერაპია, სტაციონარი და ამბულატორია. წლის განმავლობაში, ამ პროექტის შეფასებისას ვნახეთ უამრავი არასასიამოვნო და საფრთხეებთან დაკავშირებული ღია კითხვა. ამიტომ კონკრეტული თანხა, რეაბილიტაციის ცენტრისათვის, რომელიც ძალაშია, არ გამოგვიყვია, — განაცხადა სერგეენკომ.

# ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს წახალისებას აღუდგენენ

მერი ნამორაძე

საკრებულოსა და მერიას შორის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების დაფინანსება-არდაფინანსების შესახებ დაწყებული დავა დასასრულს მიუახლოვდა. გუშინ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობის წევრები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს შეხვდნენ და პროგრამების დაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა თავმჯდომარეების ახალი წესის შესახებ იმსჯელეს. შიხიაშვილმა ამხანაგობების თავმჯდომარეებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და წახალისების წესის შედგენის პროცესში აქტიური ჩრთულობისაკენ მოუწოდა. მისი თქმით, ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისების წესი იმიტომ არ შეჩერდა, რომ ვიღაცის ჯიბრი ჰქონდათ, არამედ ეს წესი უბრალოდ არ არსებობდა. წახალისება რაიონის გამგებლების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. ამხანაგობების თავმჯდომარეების გარკვეული ნაწილი ამ წახალისებას იღებდა, ნაწილი კი — არა.

— ეს წესი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს და იგი უნდა არსებობდეს, ამიტომ ყველას მოვუწოდებ, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ამ წესის შედგენის პროცესში.

მე მინდა, რომ ახალი წესით, პოლიტიკური ნიშნით აღარ მოხდეს თქვენი წახალისება. ამ წესით, მე არავის მაისურს არ შევამოწმებ, „ოცნების" აცვია თუ „ნაციონალური მოძრაობის". მე მინდა, რომ ისეთი ადამიანი იღებდეს წახალისებას, ვინც თავისი კორპუსის პატრიოტია და არა რომელიმე პოლიტიკური მოძრაობის. გპირდებით, პირადად მე ვიქნები აქტიური დამცველი იმ ადამიანისა, რომელიც დიდი პასუხიმგებლობითა და ღირსებით ექცევა ამხანაგობის წევრებს, — აღნიშნა შეხვედრაზე შიხიაშვილმა.

საკრებულოში მყოფ მოქალაქეებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის აღრიცხვის ბარათები გადაეცათ. საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი დედაქალაქის ხელისუფლებას დაეხმარება სწორად დაგეგმოს თბილისის კორპუსის ბიუჯეტი და ზუსტად განისაზღვროს ის პრიორიტეტები, რაც კორპუსის მცხოვრებლებისთვის იქნება მნიშვნელოვანი.

— ანალოგიურ შეხვედრებს ჩვენ საკრებულოს ყველა ფრაქციასთან და მერიის შესაბამის სამსახურებთანაც გავმართავთ. ასევე შევხვდებით ყველა ამხანაგობის თავმჯდომარეს და გავაცნობთ აღნიშვნის ბარათს. სწორედ ეს დოკუმენტი იქნება საზომი იმისა, თუ რა სახის სამუშაოები გაატარა თავმჯდომარემ თავის კორპუსში და რამდენად იყო იგი ჩართული უბნის ამხანაგობის განვითარების პროცესში. შემდგომში ეს მონაცემები თავს მოიყრის ადგილობრივ თვითმმართველობაში, დახარისხდება აქტივობების მიხედვით და გამგეობის სხდომაზე განიხილება იმ თავმჯდომარეების საკითხი, რომლებიც დამსახურებულად წახალისდებიან. ბუნებრივია, ეს იქნება გამჭვირვალე და თითოეული ადამიანისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტი. მონაცემებს ჩვენ განვათავსებთ სპეციალურ ვებგვერდზე, რომელიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის შეიქმნება,— განაცხადა ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა.

# „საბას" მოვაჭრეები ზარალის ანაზღაურებას სარეზერვო ფონდიდან ითხოვენ?

მერი ნამორაძე

**სავაჭრო ცენტრ „საბას" ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოვაჭრეების მისამართით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საბოლოო განმარტება გააკეთა. დაზარალებულები დღემდე სახელმწიფოსგან ითხოვენ ზარალის ანაზღაურებას და არ კმაყოფილდებიან იმით, რომ ფინანსთა სამინისტროს ჩარევის შედეგად ბანკის დავალიანებები გადაუვადეთ. როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს ყელში ამოუვიდა იმის მტკიცება, რომ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენა დაზარალებულთა დასახმარებლად და გუშინ საბოლოო განმარტება გააკეთა.**

განმარტებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაგებით მოეკიდა და გაითვალისწინა სავაჭრო ცენტრ „საბას" ტერიტორიაზე მოვაჭრე გადამხდელების პრობლემები და მათ დასახმარებლად გააკეთა ყველაფერი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გადაუვადა მათ წლიური დეკლარაციების წარდგენის ვადა; 38-ვე გადამხდელს, რომლებმაც სამინისტროს მიმართეს, იძულებითი ღონისძიებების (ინკასო, ყადაღა) გაუქმების თაობაზე, დაუკმაყოფილდათ მოთხოვნა. გარდა ამისა, მიმდინარე წლის 20 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა პირადად გაუგზავნა თხოვნის წერილები ყველა იმ კომერციული ბანკის ხელმძღვანელს, რომელსაც გაცემული ჰქონდა სესხი სავაჭრო ცენტრ „საბას" ტერიტორიაზე მოვაჭრე გადამხდელთათვის, რათა მათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაეხედათ ბანკებისადმი არსებული დავალიანების საკითხისათვის.

შედეგად, მეწარმეთა მიერ წარმოდგენილი სიიდან რვავეს საკითხი ბანკების მხრიდან განხილულ იქნა ინდივიდუალურად და რეალურად განხორციელდა მათი საბანკო დავალიანების რესტრუქტურიზაცია — გადავადება. მიმდინარე წლის 25 სექტემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან გამართულ მორიგ შეხვედრაზე, მეწარმეებმა დაადასტურეს ბანკების მიერ მათთვის სესხების გადავადების ფაქტი, თუმცა კვლავ მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, — აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.

## ნინო ბურჯანაძე: „პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემდეგ, სამეგრელო ჩიხი აღარ იქნება"

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე მარტვილის რაიონის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაში „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრი ელიზბარ ჯაველიძეც მონაწილეობდა. მოსახლეობასთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და იმ საკითხებზე ისაუბრეს, რაც ადგილობრივებისთვის აქტუალურია.

ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ის ყველაფერს გააკეთებს მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთან ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყების მიზნით, რათა მავთულხლართების დემონტაჟის პროცესი რაც შეიძლება მალე დაიწყოს.

„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ შეჩერდეს ის პროცესი, რაც ახლა დიცში, დვანსა და სხვა სოფლებში ხდება. გაუგებარია დღევანდელი ხელისუფლების არაეფექტური და უუნარო მოქმედებები, მაშინ როდესაც ჩვენს მიწაზე, ჩვენს მამულში უცხო ქვეყანა მავთულხლართებს არსობს" — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, 27 ოქტომბერს ხალხი გადაწყვეტს როგორი ტიპის ქვეყანაში სურთ ცხოვრება.

„27 ოქტომბერს გადაწყდება, მიეცემა თუ არა შანსი „ნაციონალურ მოძრაობას", რომ ვითომ გარეცხილი და გათეთრებული მობრუნდეს ხელისუფლებაში, თუ საქართველოს მოსახლეობამ საბოლოოდ უარი უთხრას დამნაშავე ორგანიზაციას, რომელმაც ქვეყანაში მახინჯი სისტემა, პრაქტიკულად ტერორისტული რეჟიმი ჩამოაყალიბა. პოლიტიკურ ძალას, რომლის მესვეურების ჩადენილ დანაშაულებებზე მხოლოდ ამ რეგიონში 28 ათასი უმძიმესი პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერი მეტყველებს" — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა.

მისი თქმით, ამასთან, არჩევნების დღეს სამეგრელოს მომავალი მდგომრეობაც გაირკვევა. „გპირდებით, რომ ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სამეგრელო ჩიხი აღარ იქნება, რომ მე აღვადგენ სამართლიანობას ყველგან და ყველასთვის" — აღნიშნა მან. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ნინო ბურჯანაძე ჭყონდიდის ეპარქიის მეუფე პეტრემ საკუთარ რეზიდენციაში მიიღო. საპრეზიდენტო კანდიდატი ამ წუთებში ხონის მოსახლეობას ხვდება. დღესვე, იგი წყალტუბოს რაიონის ამომრჩევლებსაც შეხვდება.

ნიუსპრესი

## სამართალდამცავებმა ორი ძებნილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ქურდობისთვის ძებნილი, 1981 წელს დაბადებული მირზა მ. და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ყაჩაღობისთვის ძებნილი, 1987 წელს დაბადებული ირაკლი მ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავება ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში მოხდა, როცა ძებნილი პირები საქართველოში უკრაინის რეისით ჩამოფრინდნენ. ორივე ბრალდებული ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ 2008 წლიდან იძებნებოდა. სასამართლომ მირზა მ-ს 4 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო ირაკლი მ-ს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა. ორივე მსჯავრდებული ამ დროისთვის სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულებაშია მოთავსებული.

ნიუსპრესი

## გიორგი თარგამაძე მრავალშვილიან პედაგოგს ესტუმრა

ქდმ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ოჯახს ის ხედვა გააცნო, თუ როგორ უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო მრავალშვილიან ოჯახებს. „ქვეყანა, რომელსაც ასეთი დემოგრაფიული პრობლემები აქვს, მრავალშვილიანი ოჯახების სტატუსზე განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს. სამართლებრივი სტატუსი უნდა არსებობდეს, დამოუკიდებელი სოციალურად დაუცველთა სტატუსისაგან, რომელიც მრავალშვილიანი ოჯახების კეთილდღეობას უზრუნველყოფს. საუბარი არის არა მხოლოდ ფულად დახმარებაზე, არამედ სოციალური დაცვის სრულ პაკეტზე, რომელიც ოჯახს ბავშვების კვება, განათლება, ჯანდაცვასა და ასევე კომუნალური გადასახადების დაფარვაში დაეხმარება. ასეთი ოჯახები უნდა იყოს არა დახმარების ძიებაში და უმწეოს სტატუსის მქონე, არამედ სამაგალითო საამაყო. ვფიქრობთ, სახელმწიფო ყველა მრავალშვილიან ოჯახს მაქსიმალურად მხარში უნდა დაუდგეს", — განაცხადა გიორგი თარგამაძე. ნანა ჩიქობავა შვიდი შვილის დედაა. ოჯახს არ აქვს არც სოციალურად დაუცველის სტატუსი და არც რაიმე სხვა ტიპის სახელმწიფო დახმარება. პარტიის ინფორმაციით, სოციალურად დაუცველის სტატუსი ნანა ჩიქობავას მას შემდეგ მოუხსნეს, რაც მან მუშაობა პედაგოგად დაიწყო

პირველი

# ამერიკის სენატში რუსეთ-საქართველოს საკითხზე მოსმენა გაიმართება

ნათია ხურცილავა

**საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის რიგით მეექვსე სხდომა გუშინ თბილისში გაიმართა.**

სხდომა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, კომისიის თანათავმჯდომარემ ალექსი პეტრიაშვილმა გახსნა.

სხდომაზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. სხდომა ძირითადად ვილნიუსის სამიტზე იყო ფოკუსირებული.

— ეს არის მუდმივმოქმედი სამთავრობო კომისია ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე, რომელიც პერიოდულად მინისტრების და მათი მოადგილეების დონეზე იკრიბება. დღევანდელი შეხვედრა კონცენტრირებულია ვილნიუსის სამიტზე და სამიტისთვის მოსამზადებელ საკითხებზე და შემდგომ განსახორციელებელ ღონისძიებებზე, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე ასევე განიხილეს, ევროკავშირთან სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით.



სხდომას ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე ესწრებოდნენ.

— ჩვენ ვუპირისპირდებით ძალიან სერიოზულ ძალას, მაგრამ საქართველო ამ პროცესში მარტო არ არის, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თამარ ბერუჩაშვილმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებაზე საუბრობს.

— მობილიზაცია საერთაშორისო მხარდაჭერის, ეს არის ჩვენი ყოველდღიური ამოცანა. წინა კვირას უმაღლეს დონეზე ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკომისიის და ნატოს განცხადებების გზავნილი რუსეთის მიმართ, მერწმუნეთ, რუსეთისთვის არ იყო სასიამოვნო. ჩვენ ვუპირისპირდებით სერიოზულ ძალას, საქართველო ამ პროცესში მარტო არ არის და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს გადაწყვეტილება ძალიან მყარი და ნათელია. მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, გავაგრძელებთ იმ გზას, რომელმაც საქართველო ევროპულ ოჯახში სრულუფლებიან წევრად უნდა დააბრუნოს, — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

ასევე, მისივე თქმით, მცოცავ ოკუპაციასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება საქართველოს ინტერესების შესაბამისი იქნება.

— საზღვართან დაკავშირებით იყო ოფიციალური გადაწყვეტილება, თუმცა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ჩვენი გადაწყვეტილება საქართველოს ინტერესების შესაბამისი იქნება, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პეტრიაშვილის განცხადებით, საოკუპაციო ზოლზე რუსეთის გააქტიურება ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტთანაა კავშირში.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში პეტრიაშვილმა განაცხადა, ვილნიუსის სამიტზე საქართველო, მოლდოვა და უკრაინა შეძლებენ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირებას და შემდეგ ხელმოწერასაც.

— ამიტომ რუსეთი ცდილობს, მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენოს ზეწოლის გასაძლიერებლად, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა ძალიან პრინციპულია ამ საკითხებში. ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გაიმართება ამ საკითხის მოსმენა. ევროკავშირი ძალიან სერიოზულ გზავნილებს უგზავნის რუსეთის ფედერაციასაც და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებსაც მხარდაჭერასთან დაკავშირებით, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

ალექსი პეტრიაშვილმა ინფორმაცია მიაწოდა პრესას, სადაც ის აღნიშნავს, ძალიან მაღალ დონეზე იქნება საუბარი რუსეთ-საქართველოს შორის შექმნილ სიტუაციაზე.

როგორც პეტრიაშვილმა გვითხრა, ამერიკის შეერთებულ შტატებში სენატში რუსეთ-საქართველოს საკითხზე მოსმენა გაიმართება.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ეს ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირის ინტეგრაციის კომისიის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

პეტრიაშვილს არ დაუკონკრეტებია, როდის იმსჯელებენ რუსეთ-საქართველოს საკითხზე.

— მე ვთვლი, რომ ვილნიუსის სამიტზე საქართველო, მოლდოვა და უკრაინა შეძლებენ ჯერ ხელშეკრულების პარაფირებას და შემდეგ ხელმოწერას. ამიტომ რუსეთი ცდილობს, მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენოს ზეწოლის განსახორციელებლად, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობა ამ საკითხებში ძალიან პრინციპულია. ევროკავშირი ძალიან სერიოზულ გზავნილებს უგზავნის რუსეთს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი უკრაინასა და ბელგიაში საერთაშორისო კონფერენციაზე მიემგზავრება.

— უკრაინაში, ლვოვში საერთაშორისო ეკონომიკური მე-13 ფორუმი გაიმართება. შესაძლებლობა გვექნება საერთაშორისო საზოგადოებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტთან დაკავშირებით მივმართოთ. ასევე ჩვენი ხედვა წარმოვადგინოთ ბოლო პერიოდში გაძლიერებულ ზეწოლასთან დაკავშირებით. საზოგადოებას ჩვენი ძირითადი მიზნის შესახებ მოვახსენოთ. რა თქმა უნდა, გვექნება ორმხრივი შეხვედრა უკრაინის მთავრობის ვიცე-პრემიერთან, სადაც ორმხრივ და მრავალმხრივ საკითხებს განვიხილავთ, განსაკუთრებით ბოლო დროინდელ მოვლენებს“, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

# „ჩვენმა მწერლობამ“ ოთარ ჩხეიძის რომანის წარდგინებას უმასპინძლა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის --„იტალიური დღიურები ბაირონისა“ -- წარდგინება გაიმართა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ეს ამ წიგნის მესამე, ჯიბის ფორმატის გამოცემაა, სადაც ოთარ ჩხეიძის 24-ვე რომანმა ამ ერთიან ციკლში -- „მატიანე ქართლისა“ -- უნდა მოიყაროს თავი. აღნიშნული რომანი, მიუხედავად გარეგნული განსხვავებისა სხვა ნიმუშთაგან, ამ სერიაში ერთი მტკიცე რგოლია. მისი თქმით, მე-19 საუკუნეში იტალიის ბედისწერას საქართველოს ბედისწერა გადაეჯაჭვა, რაც ნაწარმოებში კარგად არის ასახული. ეს კი მხოლოდ მწერლის თვალით დანახული იგივეობა არ არის, არამედ ისტორიული რეალობაც.

„ოთარ ჩხეიძემ რომანის წერისას არა მხოლოდ ბაირონის დღიურები, არამედ სხვა დიდძალი მასალაც დაამუშავა. ბაირონის პიროვნებაშიც და ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც ბევრი რამ ახლებურად არის გააზრებული. ავტორი მის სულში ძალიან ღრმად ჩადის და ეს ყოველივე ბელეტრიზირებულია ისე, როგორც ბიოგრაფიული რომანისთვის არის საჭირო. თუ მსოფლიო ბაირონოლოგია არსებობს, ეს რომანი ამ სფეროს საუკეთესო ნიმუშია. ამ წიგნზე, როგორც პოლიტიკურ პამფლეტზე, უამრავი კუთხიდან შეიძლება დაიწეროს“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

მისივე თქმით, ნაწარმოებში ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული მომენტებიც არის გაბნეული, რაც ბაირონთან მის მსგავსებას წარმოაჩენს. მაგალითად, ბაირონი თავის მოწოდებად პოლიტიკურ ასპარეზს მიიჩნევს, რისი ხორცშესხმაც ვერ მოახერხა. ოთარ ჩხეიძესაც სწყდებოდა გული, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობის საშუალება არ მიეცა.

როგორც წიგნის წარდგინებაზე გორიდან საგანგებოდ ჩამოსულმა მწერალმა, ოთარ ჩხეიძის ნასტუდენტარმა ჯემალ ინჯიამ აღნიშნა, წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველისათვის ავტორი მგზნებარე პატრიოტად წარმოჩნდება. მან დამსწრეებს რომანიდან ის შტრიხები წაუკითხა, რითიც, მისი მოსაზრებით, ახალბედა მკითხველისათვის ოთარ ჩხეიძის პორტრეტი უნდა დაიხატოს.

ნანა კუციას შეფასებით კი, ოთარ ჩხეიძის ნებისმიერი ნაწარმოების წაკითხვა მრავალფეროვან სამყაროში შებიჯებაა.

„რაზეც უნდა წერდეს, ოთარ ჩხეიძე მთელ სამყაროს მოიცავს. როცა მწერალი ეროვნულზე ფიქრობს, ის უნივერსალურობამდე განზოგადდება და პირიქით — მასთან უნივერსალური ეროვნულობამდე არის განზოგადებული“, — აღნიშნა ნანა კუციამ.

წიგნის წარდგინებაზე სიტყვით გამოვიდნენ: ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტი გორის უნივერსიტეტიდან მარიამ შატაკიშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, ზაზა აბზიანიძე, სევარიონ ნადირაძე, ნინო ბაქანიძე, მაია ჯალიაშვილი.

მედიანიუსი

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# რონალდუს გოლით რეალი არ აგებს

საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა ესპანურმა „მარკამ“, რომლის მიხედვითაც აღმოჩნდა, რომ თუ პორტუგალიელ კრიშტიანუ რონალდუს „ლა ლიგაში“ გოლი გააქვს, „რეალი“ იმ მატჩს არ აგებს.

რონალდუ „რეალისთვის“ იღბლის მომტანი ყოველთვის იყო, თუმცა აღსანიშნავია განსაკუთრებით „ლა ლიგაში“ გამართული შეხვედრები. კრიშტიანუმ 90 თამაშში შეძლო გატანა, აქედან 84 „რეალის“ გამარჯვებით დასრულდა, ხოლო 6 მატჩი გუნდმა ფრედ ითამაშა, ორ-ორჯერ „ბარსელონასთან და „ვილიარეალთან“, ხოლო თითოჯერ „ესპანიოლთან“ და „სარაგოსასთან“.

რონალდუს მადრიდში გადმოსვლის შემდეგ „ლა ლიგის“ საწყის 31 მატჩში, რომელშიც პორტუგალიელმა გოლის გატანა მოახერხა, „რეალის“ გამარჯვებით დასრულდა. ეს საოცარი სერია 2011 წლის 16 აპრილამდე გაგრძელდა, როცა რონალდუს მიერ „ბარსას“ კარში გატანილი გოლი მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა და „კლასიკო“ ფრედ დასრულდა.

# ფედერერი კითხვის ნიშნით

ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე როჯერ ფედერერის შემაჯამებელ ტურნირზე თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ეს დრო ახლა დადგა.

მოგეხსენებათ რაფაელ ნადალი რეიტინგის მოწინავე პოზიციაზე აღმოჩნდა, რომელზეც ბოლოს 2011 წლის ივნისში იმყოფებოდა. ნადალი, ფედერერიც და ჯოკოვიჩიც მიმდინარე კვირის შანხაის მასტერსის ტურნირზე გამოდიან. როჯერს ამჟამად მე-7 პოზიცია უკავია და ლონდონში მოსახვედრად დანარჩენ მოთამაშეებთან ერთად დარჩენილი 4 ადგილის დასაკავებლად იბრძოლებს.

ნადალმა, ჯოკოვიჩმა, ფერერმა და მარეიმ უკვე გაიარეს კვალიფიკაცია, თუმცა ამ უკანასკნელმა წელზე ოპერაცია გაიკეთა და ჯერ კიდევ არ დაუწყია ვარჯიში.

როჯერმა წლეულს მხოლოდ 3.055 ქულის მოგროვება შეძლო, რაც რაფაელ ნადალის 11.130-თან შედარებით ვერაფერი შვებაა. მის ადგილზე შეიძლება ჟო-უილფრედ ცონგა ან სულაც მილოშ რაონიჩი აღმოჩნდნენ. არადა, მას ხომ 6-ჯერ აქვს მოგებული შემაჯამებელი ტურნირი, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.

როჯერ ფედერერი:

– სეზონის დასაწყისშივე ვგეგმავდი ლონდონის შემაჯამებელ ტურნირზე გამოსვლას. ეს საუკეთესო ტურნირია საუკეთესოთა შორის და მსურს მონაწილე ვიყო.

ამერიკის ღია პირველობაზე ტომი რობრედოსთან მე-4 რაუნდში განცდილი მარცხის შემდეგ როჯერმა განაცხადა:

– ეს ის მომენტია როცა უნდა დაივიწყო მომხდარი. ვფიქრობ, საკუთარი თამაში მიბრუნდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩავარდნა მქონდა, მაგრამ მოლოდინი საკუთარი თავისადმი კვლავ მაღალი მაქვს. ვფიქრობდი და ველოდი, რომ ეს წელი გაცილებით მშვიდი იქნებოდა ოლიმპიადის შემდეგ, მომავალ წელს კი დიდი იმედებით ველი, რადგან ქულების დაცვა არ მიწევს.

შვეიცარიელმა ლეგენდამ რაფაელ ნადალზეც ისაუბრა:

– ეჭვგარეშეა, დაუჯერებელი დაბრუნება გამოუვიდა. 1 წლის წინ ხალხი საუბრობდა, რომ მისი კარიერა დასრულდა, ველარ შეძლებდა თამაშს, ახლა კი პირველი მონერია. ასე სწრაფად ხდება ჩოგბურთში ყველაფერი, რაც დიდებულია. მეორეს მხრივ, ხალხი ნაადრევად ჩამოწერს ხოლმე ამა თუ იმ მოთამაშეს.

# არიენ რობენი: ჩვენ არ ვართ ბარსელონა

მიუნხენის „ბაიერნში“ პეპ გვარდიოლას მისვლის შემდეგ ბევრი ალაპარაკდა, რომ ბავარიელები სათამაშო სტილს შეიცვლიდნენ და „ტიკი-ტაკაზე“ გადავიდოდნენ.

ეს ჭორები უარყო „ბაიერნის“ ერთ-ერთმა ლიდერმა არიენ რობენმა:

– „ბაიერნი“ მეორე „ბარსელონა“ არაა. შედარება ლოგიკურია, მაგრამ აქცენტი საკუთარ თავზე უნდა გავაკეთოთ. ჩვენ ვართ „ბაიერნი“! მართალია, ჩვენ არ გვყავს ხავი, არ გვყავს მესი, მაგრამ ჩვენთან სხვა დიადი ფეხბურთელები თამაშობენ. მწვრთნელს გარკვეული ფილოსოფია გააჩნია და ცდილობს, ის ჩვენამდე მოიტანოს. ის იგივეს „ბარსელონაში“ აკეთებდა, ხოლო ახლა ამის გაკეთებას „ბაიერნში“ ცდილობს. „ბარსელონას“ სტილში არ ვთამაშობთ, საკუთარი სტილი გვაქვს, ხოლო გვარდიოლა საკუთარი ხედვით მასზე საუკეთესო გავლენას ახდენს.

# ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია ჯერაც ტრავმებს იშუშებენ




ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 2013-14 წლების სეზონი სტარტს 29 ოქტომბერს მოქმედი ჩემპიონის „მაიამი ჰითის“ და „ჩიკაგო ბულზის“ მატჩით აიღებს, მანამდე კი, ნბა-ს კლუბები საკონტროლო შეხვედრებს მართავენ.

საქმეში ჩაერთვნენ „მილუოკი ბაქსი“ და „ბრუკლინ ნეთსიც“, რომელთა ღირსებასაც, შესაბამისად, ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია იცავენ. სამწუხაროდ, ქართველი კალათბურთელები ჯერაც ტრავმებს იშუშებენ და ცხადია, მოედანზე არ გასულან.

საგამოფენო მატჩების წინ „მილუოკი ბაქსმა“ ღია ვარჯიში გამართა. ამერიკაში ღია წვრთნას „ფანფესტი“, ანუ ფანების ფესტივალი ჰქვია. დასახელებიდანვე ჩანს, რომ ყველაფერი გულშემატკივრების გართობისთვის კეთდება. ასეთი შეხვედრა ერთგვარი ცდაა კალათბურთელებსა და ქომაგებს შორის კონტაქტის გაღრმავებისა.

მილუოკელები ორ გუნდად გაიყვნენ და საჩვენებელი თამაშიც ჩაატარეს. ცხადია, ზაზა ფაჩულიას მონაწილეობა არც ამ მატჩში მიუღია, მაგრამ იქ იმყოფებოდა კომენტარიც გააკეთა:

– პირველ რიგში, მივესალმები „მილუოკის“ ფანებს, რომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მომავალ სეზონში. გულშემატკივრის მხარდაჭერის გარეშე რთული იქნება დასახული მიზნის მიღწევა, პლეი ოფში თამაში. მოხარული ვარ, რომ 2005 წლის შემდეგ კიდევ მომიწევს „მილუოკი ბაქსის“ ღირსების დაცვა. გუნდში მთავარმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ მომიწვია, რომელთანაც „ატლანტაში“ 8 წელი ვიმუშავე. ძლიერი სპეციალისტია და მისი რომ არ მჯეროდეს, შეთავაზებასაც არ დავთანხმდებოდი.

ზაზა ფაჩულია „მილუოკიშიც“ 27-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. გუნდის პირველ მატჩამდე ქართველმა ცენტრმა მოედნის ცენტრში ფურცელზე დაბეჭდილი რიცხვი 27 გამოიტანა.

# იანუზაი ნაკრებზე ფიქრობს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ამომავალი ვარსკვლავი ადნან იანუზაი, რომელმაც საფეხბურთო სამყარო ახალი სეზონიდან და უფრო მძაფრად „სანდერლენდთან“ თამაშის შემდეგ ალაპარაკა, არ ჩქარობს ბელგიის ნაკრებში თამაშს. ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მარკ ვილმოტსის თქმით, ისინი ცდილობდნენ ფეხბურთელთან დაკავშირებას, მაგრამ ნაკრებში გამოძახებინათ, თუმცა ჯერ ფეხბურთელი უარზეა.

მას არ აქვს არჩეული რომელ ნაკრებში ითამაშოს. ფეხბურთელს წარმომავლობა რამდენიმე ქვეყანას უკავშირდება. ბელგია, ეს არის ქვეყანა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. სერბეთი – სადაც მისი მშობლები დაიბადნენ, მისი გვარიც – იანუზაი სერბულია. ალბანეთი და თურქეთი, საიდანაც ბებია და ბაბუა ჰყავს, ამ ყველაფერს ემატება ინგლისის ნაკრების ინტერესიც. მოკლედ, ფეხბურთელს 5 არჩევანი აქვს, თუმცა ის ჯერ არ ჩქარობს.

ამის გარდა კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა – „ბარსელონა“ სერიოზულად განიხილავს ადნანის კანდიდატურას ზამთრის სატრანსფერო პერიოდში.

# აბაიომი ოვონიკოკო: ძალიან მინდა საქართველოს ნაკრებში თამაში



ნიგერიელი ფეხბურთელის აბაიომი ოვონიკოკოს შესახებ, შესაძლოა, ბევრი არ გაგეგოთ, თუმცა მისი ინტერვიუს დაბეჭდვა უფრო იმისთვის არის საინტერესო, რომ მისი და ქართველი ფეხბურთელების აზროვნება შევადაროთ.

ქართული პასპორტის მქონე ოვონიკოკო „გაგრას“ ფეხბურთელია. ჰქონდა ვარიანტები რომელიმე ევროპულ გუნდში მოხვედრილიყო – „რენში“, „გენკში“, „ეინდჰოვენში“, მაგრამ შემდეგ ტრავმებმა გააწამა და ბოლოს უკრაინაში აღმოჩნდა. იომის იქიდანაც მოუწია აბარგება და ახლა ისევ პირველლიგელ „გაგრაშია“.

– „გაგრა“ და საქართველო ძალიან მიყვარს. რომ არა ეს გუნდი, ვინ იცის ვითამაშებდი კი ფეხბურთს? „გაგრა“ სულ უნდა არსებობდეს, – ამ სიტყვების ავტორს უკან დაბრუნება არ გაუჭირდებოდა და ასეც მოხდა. როდესაც კლუბის პრეზიდენტმა უთხრა, რომ დეკემბრამდე „გაგრაში“ უნდა ეთამაშა, წამითაც არ დაფიქრებულა:

***– რა თქმა უნდა, ვითამაშებ, დავბრუნდები და გოლებსაც გავიტან.***

ეს იყო მისი პასუხი და მიცემულ სიტყვასაც პირნათლად ასრულებს – 7 მატჩში აბაიომი სეუნ ოვონიკოკომ 7 გოლი გაიტანა და გუნდის ბომბარდირია. პროფესიონალურად მიუდგა თავის საქმეს და შეიძლება ითქვას, რომ იომი დაბრუნდა.

***– ძნელად წარმოსადგენი იყო თქვენი საქართველოში დაბრუნება. უკრაინულ „ვოლინში“ თამაშობდით, შემდეგ ბელგიურ „ლოკერენში“ გადიოდით სინჯებს და თითქოს იქ თქვენი გადასვლა გადაწყვეტილი იყო***

– „ვოლინში“ დიდი გამოცდილება შევიძინე, მაგრამ იქ არსებულმა პრობლემებმა მაინც თავისებური გავლენა მოახდინა გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგზე. ანატოლი დემიანენკო მენდობოდა, მათამაშებდა, მაგრამ ფინანსური კუთხით მთლად სახარბიელო სიტუაცია აღარ იყო. მაგრამ ეს ჩემს თამაშზე ნამდვილად არ ასახულა, ვინაიდან ვიცი კუთვნილ ხელფასს აუცილებლად მიიღებ, მთავარია გუნდს დაეხმარო, რთულ სიტუაციაში გვერდში დაუდგე. ალბათ, სხვები სხვაგავარად ფიქრობდნენ. შემდეგ ანატოლი პისკოვეცი დაინიშნა, შედეგიც გვქონდა, მაგრამ მაინც სხვა მწვრთნელი მოიყვანეს გუნდში და მოკლედ, სიტუაცია ვერ დალაგდა და წამოსვლა მომიწია. ბელგიური „ლოკერენიდან“ ჩემს მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ „გაგრაში“ თამაშის დროს იყო და როდესაც მოწვევა მივიღე, ძალიან გამიხარდა. სერიოზული დატვირთვები ჰქონდათ, გუნდი ევროპის ლიგაზე სათამაშოდ ემზადებოდა და დღეში ორჯერად ვარჯიშებზე იყვნენ გადასული, თანაც სამსაათიანი ინტერვალით. თბილისიდან ჩავედი, აქ ინდივიდუალურად ვემზადებოდი. ჩავერთე სავარჯიშო პროცესში და ორი ამხანაგური შეხვედრაც ვითამაშე, გოლებიც გავიტანე და თითქმის გადაწყვეტილი იყო ჩემი დარჩენა, მაგრამ მესამე ამხანაგურ შეხვედრაში თამაში მომიწია, მეორე ნახევარში შევედი მინდორზე. რა დასამალია, ვერ ვითამაშე სათანადო დონეზე „ლოკერენს“ ჩემს სამსახურზე კატეგორიული უარი არ უთქვამს. იცით, რომ ორი წლის წინ ჯვარედინი იოგის ოპერაცია გავიკეთე, სარეაბილიტაციო პროცესი თბილისში გავიარე და შემდეგ „ზესტაფონშიც“ ვითამაშე და „ვოლინშიც“, მაგრამ თითქოს რაღაც აღარ მიმდიოდა ისე თამაში, როგორც ადრე. ამის მიზეზი კი სწორედ ბელგიაში შევიტყვე. ექიმებმა მითხრეს, რომ ფიზიკური დატვირთვები უნდა მომემატა, რათა ნაოპერაციებ ფეხზე კუნთი უფრო მეტად გაძლიერებულიყო. შემომთავაზეს ბელგიაში დარჩენა, პირველი დივიზიონის გუნდში დროებით წასვლა, პარალელურად სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიში და იანვარში უკან დაბრუნება, მაგრამ საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე.

***– რატომ?***

– როგორ ფიქრობთ, თავდამსხმელს რა სჭირდება? როდესაც ფორვარდს რაიმე პრობლემა აქვს, მისი წამალი გოლის გატანაა. სწორედ ეს მითხრა კლუბის პრეზიდენტმა ბესიკ ჩიხრაძემ. იომი გოლები უნდა გაიტანო და დამანახო რომ ისევ ის იომი ხარ. დამიჯერე, თუ დაბრუნდები, კიდევ უფრო უკეთეს გუნდში წახვალო. დამიჯერეთ, იმ მომენტში, როდესაც ეს საუბარი შედგა, რამდენიმე ევროპული ქვეყნის გუნდი მიწვევდა, თუმცა სინჯებზე. მაგრამ პრეზიდენტს დავეთანხმე. მან მითხრა ის, რისი თქმაც იმ მომენტში ყველაზე მეტად მჭირდებოდა. სწორი გადაწყვეტილება უნდა მიმეღო და არა გუნდებში აქეთ-იქით სირბილი დამეწყო. მადლობა მინდა ვუთხრა მას, რომ სწორი მიმართულება მომცა. ფსიქოლოგიურად ჩემთვის ადვილი ნამდვილად არ იყო აქ დაბრუნება, როცა უკრაინული და ბელგიური ფეხბურთის დონეს ნახავ. მაგრამ დონე სულ არ მაინტერესებს, ევროპაში მაინც ჩავალ და ვითამაშებ, მთავარი, ჩემი რწმენა გახლდათ. როგორც გითხარით, თავდამსხმელმა გოლები უნდა გაიტანოს, რომ დაბრუნდეს, საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს. შეიძლება ბევრს არ აკმაყოფილებს ქართული ფეხბურთის დონე, მაგრამ ჯერ საკუთარი უნდა გიყვარდეს ძალიან და მერე იფიქრო სხვაგან თამაშზე. მე არ ვამბობ, რომ საქართველოში და განსაკუთრებით პირველ ლიგაში თამაში ადვილია. არანაირად, პირიქით. იცით, რომ იდეალურ მინდვრებზე არ გვიწევს თამაში და გოლის გატანა ადვილი არაა, მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა, დროებით, მაგრამ ჩემს სახლში დავბრუნდი და მეორეც, კარგად ვიცი თუ როგორ გავიტანო გოლები, თურმე არ დამვიწყნია.

***– და ალბათ, უცხოეთში წასვლას ისევ გეგმავთ.***

– რა თქმა უნდა. ნოემბრის ბოლოსთვის ფორმაში უკვე შესული ვიქნები, სატრენაჟორო დარბაზში ინტენსიურად ვვარჯიშობ. ფიზიკურ დატვირთვებს ვუმატებ. რეჟიმი არასოდეს დამირღვევია. არც ზედმეტი გართობა ვარგა და რაც მთავარია, ფეხბურთელს კარგი დასვენება, კვება და აღდგენა სჭირდება. გუნდი მეხმარება, მეც მაქსიმუმს ვაკეთებ. ჩემი მიზანი ევროპულ ფეხბურთში დამკვიდრებაა და იმედი მაქვს, რომ ამას მოვახერხებ.

***– 7 მატჩში 7 გოლი უკვე გაიტანეთ.***

– მიხარია, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში ვეხმარები. თავიდან ცოტა რთული იყო. ბიჭები ცდილობენ გვერდში დამიდგნენ. იცით, პირველი გოლის გატანა ჭირს, თორემ შემდეგ მიდის და მიდის. აი, ხომ ხედავთ ველარ მაჩერებენ.

***– თანაგუნდელებზე რას იტყვით?***

– ლაშა კალანდაძესთან ერთად ბევრი შეხვედრა ჩამიტარებია, ნიკა ჭკუასელიც შემოდიოდა მაშინ შეცვლებზე. ცოტნე ხარაბაძესთან ერთად კი უმაღლეს ლიგაში „გაგრაში“ 2010 წელს ვითამაშე. ძალიან კარგი გუნდი გვყავს. თავდასხმაში მე და ჯერემია ვთამაშობთ. ბეჟან ტეიდი ახლა დაშავებულია, მალე დაგვიბრუნდება. ჯერემია დისკვალიფიცირებულია, მაგრამ ისიც მალე დაგვიბრუნდება. ნიკა ჭკუასელი, რატი ცაცკრიალაშვილი მამარაგებენ პასებით. „სქურთან“ შეხვედრაში ქარდავამ მომცა პასი და გავიტანე. ნიჭიერი ბიჭები გვყავს და მინდორზე ყველა მონდომებულია.

***– როგორ ფიქრობთ, გადავა „გაგრა“ უმაღლეს ლიგაში?***

– „გაგრა“ უმაღლეს ლიგაში უნდა თამაშობდეს, ეს გუნდი ამას იმსახურებს. არც მე ვარ ძალიან დიდი ასაკის, მაგრამ ჩემზე გაცილებით პატარა ბიჭები თამაშობენ აქ, ზვიად ჯელაძემ ახალგაზრდული გუნდი შეკრა, ნიჭიერები და ფეხბურთის განვითარებისთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩემი, კალანდაძის, ჭკუასელის, ბეგაშვილის, ჯერემიას გვერდით თამაში მათთვის დიდი სტიმულია და გაათმაგებული ენერგიით თამაშობენ. თუ სწორად წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას – ჭკუასელი, კალანდაძე, ჯიშკარიანი, ხარაბაძე, ცაცკრიალაშვილი, ჯერემია, ტეიდი, ხოჯაშვილი, გადრანი, კაკუბავა და სხვები ნამდვილად დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. ყველაფერი ფეხბურთელის ხელშია. როგორც წაიყვან შენ ცხოვრებას, იმას დაიმსახურებ.

რვა თამაშში მხოლოდ ერთხელ წავაგეთ და ისიც თასზე, ისიც სტუმრად რუსთავში, ხელოვნურსაფარიან მინდორზე. მე ის მატჩი არ მითამაშია, მაგრამ ტრიბუნაზე ვიყავი, არ უნდა წაგვეგო. ჩემპიონატში სამჯერ მოვიგეთ და სტუმრად სამივე მატჩი კარგ გუნდებთან ფრედ ვითამაშეთ. ცუდად ნამდვილად არ მივდივართ. შინ დიდი ანგარიშით ვიგებთ. როგორც მითხრეს, თერჯოლაში გვიწევს მალე მძიმე თამაში, გამოცდილი ფეხბურთელები ჰყოლიათ, სტადიონი სავსეა და კარგი სანახაობა გველის. მიყვარს სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში. დამატებითი სტიმულია.

***– საქართველოს ნაკრების თამაშებს უყურებთ ხოლმე?***

– რა თქმა უნდა. ისე, რომ იცოდეთ ნიგერიის ნაკრების თამაშებიც მაინტერესებს. საფრანგეთის ნაკრებთან ფრე ძალიან კარგი შედეგი იყო და მოგება არ შეგვეძლო? ოქრის ჰქონდა კარგი მომენტი. აი, ფინეთთან კი გული ძალიან დამწყდა. ვიცი, რომ ყველა მოგებას ელოდა, მაგრამ დღეს ყველა გუნდთან თამაში ძნელია. ფრანგებმა ხომ დაკარგეს ორი ქულა ჩვენს ნაკრებთან? ანუ, საქართველოს ნაკრებიც ანგარიშგასაწევი ძალაა მეტოქისთვის. უნდა გაგვიმართლოს, იღბალი სჭირდება ნაკრებს. დამიჯერეთ, გაგვიმართლებს და იქნებ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაც შევძლოთ. თემურ ქეცბაია მცოდნე მწვრთნელია, მაქსიმალისტი. ყველას უნდა, რომ ერთ დღეში მიაღწიოს წარმატებას. ასე არ გამოდის, მით უმეტეს ფეხბურთელის ცხოვრებაში. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წახვიდე წინ. ჩვენი დროც მოვა. არადა, მეც ძალიან მინდა საქართველოს ეროვნულ ან ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის შანსი მომეცეს და მერე ნახეთ თქვენ გატანილი გოლები

# ლევან მჭედლიძე ნაკრებში ვერ ჩამოდის

როგორც უკვე ვწერდით, ლევან მჭედლიძემ „ემპოლისთან“ კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. მომდევნო დღეს კი, კომენტარი იტალიურმა მედიამ ჩამოართვა.

– ლევან მჭედლიძე უარს ამბობს ეროვნულ ნაკრებზე და რჩება იტალიაში, რათა „რეჯინასთან“ მატჩისთვის მოემზადოს. ეს არ არის კატეგორიული უარი ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობაზე. არამედ, გამომდინარე სიტუაციიდან – საქართველოს მუნდიალის საგზურის მოპოვების შანსი დაკარგული აქვს, „ემპოლის“ კი მნიშვნელოვანი მატჩი ელის „გრანილოზე“.

ლევან მჭედლიძე:

– მე ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ეროვნული ნაკრები, მაგრამ ახლა მე მსურს უკეთესად მოვემზადო მატჩისთვის, რომელიც რეჯო კალაბრიაში გველის. მწვრთნელი და თანაგუნდელები ძალიან ეჭირდებიან და მე მათ ვერ ვუღალატებ. იმედი მაქვს, რომ გოლს მალე გავიტან, თუმცა ჩემთვის მთავარია, დავეხმარო გუნდს მუხლჩაუხრელი შრომით. როდესაც მოედანზე გავდივარ, ყოველთვის ვცდილობ, ბოლომდე დავიხარჯო.

შეგახსენებთ, რომ ლევანმა პირველი გოლი აგვისტოში გაიტანა, როცა იტალიის თასზე დუბლი შეასრულა „სიუდტიროლის“ კარში. ჩემპიონატში კი მისის მერე არ გაუტანია.

მოამზადა მიხეილ ყორღოლამიძემ

# სამთავისისა და გორის ეპარქიამ სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარა

ეკა ირემაშვილი

**სამთავისისა და გორის ეპარქიამ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინიციატივით, თბილისსა და გორში წმიდა მღვდელმოწამე კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) სახელობის მეხუთე ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარა. მასში მონაწილეობდნენ მღვდელმთავრები, სასულიერო პირები, მეცნიერები და უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები საქართველოდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. მომხსენებლებმა ისაუბრეს რუსეთსა და საქართველოში წმიდა პატრიარქის მოღვაწეობის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, საღვთისმეტყველო და ასევე სხვადასხვა რელიგიური საკითხის შესახებ.**

–მღვდელმოწამე კირიონ II–სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, გორის მაზრის სოფელ ნიქოზში მღვდელ იერონიმე საძაგლიშვილის ოჯახში დაიბადა. დაწყებითი განათლება მიიღო მამამისის, იოანე საძაგლიშვილის მიერ დაარსებულ ანანურის სასულიერო სკოლაში. მოგვიანებით ის სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილ იქნა კიევის სასულიერო აკადემიაში. ეს აკადემია მან დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. სხვადასხვა წლებში იგი იყო ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, თელავისა და გორის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველის თანაშემწე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის, თბილისის სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფიისა და ქართული ენის პედაგოგი. იგი 41 წლის ასაკში კირიონის სახელით ბერად აღიკვეცა, იმავე წელს მღვდელმონაზონი კირიონი აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. ორი წლის განმავლობაში იღუმენი კირიონი ქვათახევის მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო, შემდგომ კი აღმოსავლეთ საქართველოს მონასტერთა კეთილმოწესე და „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებასთან" არსებული სკოლების ინსპექტორი. 43 წლისა აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. მალევე ხელდასხმულ იქნა ალავერდის ეპისკოპოსად და გახდა საქართველოში რუსეთის ეკლესიის ეგზარქოსის პირველი ვიკარიუსი (ქორეპისკოპოსი) ქართლ-კახეთში. იყო გორის ეპისკოპოსი, ასევე ეპისკოპოსი ბალტისა, ვიკარიუსი პოდოლსკის ეპარქიისა, ეპისკოპოსი ნოვომირგოროდისა, ვიკარიუსი ხერსონის ეპარქიისა, ეპისკოპოსი ორიოლისა და სევისა, ეპისკოპოსი კოვნოსი, ვიკარიუსი ლიტვის ეპარქიისა. მოღვაწეობდა სოხუმის ეპისკოპოსის კათედრაზე, მონაწილეობდა წმიდა სინოდის სხდომებში, სადაც განიხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. 1908 წლის 15 თებერვლიდან ცხოვრობდა კურიაშკის მონასტერში ხარკოვის ეპარქიაში. იგი უსამართლოდ იქნა დადანაშაულებული საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის თანამონაწილეობაში და გადაყვანილ იქნა სანაქსარის უდაბნოში ტამბოვის ეპარქიაში. ბრიუსელში შეიქმნა ეპისკოპოს კირიონის დაცვის საზოგადოება. ჟორჟ ლორანმა ბელგიის დეპუტატთა პალატის წევრმა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ხამიაკოვს მსჯავრის შემსუბუქებასთან დაკავშირებით. მართლაც, კირიონ მეორეს ოფიციალურად მოეხსნა ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში თანამონაწილეობის ბრალდება. მოგვიანებით ეპისკოპოსი კირიონი სანაკსარის მონასტრიდან გადაყვანილ იქნა ხერსონში წმიდა ვლადიმერის მონასტერში. მღვდელმსახურებიდან დაყენებულმა ეპისკოპოსმა კირიონმა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ს მიმართა თხოვნით, რათა გათავისუფლებულიყო მკაცრი ზედამხედველობისგან. მალე მას აღუდგა მღვდელმსახურების უფლება. ორი წლის განმავლობაში იგი პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსი იყო. ამის შემდეგ კირიონ მეორე საკუთარი ნებით გაათავისუფლეს მღვდელმსახურებიდან და დაბრუნდა სამშობლოში, საქართველოში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ჩატარებულ პირველ კრებაზე ეპისკოპოსი კირიონი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. პატრიარქის ინტრონიზაცია შესრულდა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. მან აკურთხა და მიიღო მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაში. 1918 წლის 27 მაისს ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით პატრიარქმა სიტყვით მიმართა თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ხალხს და მოუწოდა სამშობლოს დაცვისაკენ. ამავე წლის 10 ივლისს პატრიარქი კირიონი მოკლეს მარტყოფის მონასტერში საიდუმლო ვითარებაში. კირიონ მეორე სიონის საკათედრო ტაძარში დაკრძალეს. 2002 წლის 17 ოქტომბერს პატრიარქი კირიონი შეირაცხა საქართველოს ეკლესიის წმიდათა დასში წმიდა მღვდელმოწამე კირიონის სახელწოდებით და მისი ხსენების დღედ დადგენილია 27 ივნისი ანუ ახალი სტილით 10 ივლისი, –აღნიშნა პროექტის კურატორმა ნათია გოგუაძემ.

წმიდა მღვდელმოწამე კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის სახელობის V ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიხსნა, კონფერენციის მეორე დღეს კი გორის უნივერსიტეტმა უმასპინძლა. კონფერენციის ფარგლებში დაიგეგმა სამთავისის ისტორიულ სამონასტრო კომპლექსში გამგზავრება, წირვა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში და კონფერენციის საზეიმო დახურვა. სამდღიან ღონისძიებებს თავმჯდომარეობდნენ მაღალყოვლადუსამღვდელოესი სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

გიორგი სოსიაშვილი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია, მაღალყოვლადუსამღვდელოესი სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო, მღვდელი ალექსანდრე (შელკაჩოვი), კიევის სასულიერო აკადემიის პრორექტორი, დოქტორი ვლადიმერ ბურეგა.

კონფერენციის ფარგლებში მოხსენებები წარმოადგინეს მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მთავარეპისკოპოსმა ალექსიმ (გროხა) (უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, ბალტისა და ანანევის ეპარქია) თემაზე „კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის (საძაგლიშვილი) მსახურება ბალტის კათედრაზე", მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე) (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქო, მანგლისისა და წალკის ეპარქია) – „აფხაზეთის საკათალიკოსო", ჯემალ გამახარიამ (ისტორიის დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი) – „წმინდა აღმსარებელი ამბროსის (ხელაია) მიერ გაზეთში „პეტროგრადსკიე ვედომოსტი" გამოქვეყნებული წერილები (1912-1917 წლები)", ეკა დუღაშვილმა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი) – „IX-X საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერთა ტრადიცია (სინას წმიდა ეკატერინეს მონასტრისა და ათონის ივერთა მონასტრის სკრიპტორიუმების მიხედვით)", ია მელნიკოვა (წმიდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის სექციის კოორდინატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) – „ეპისკოპოს კირიონის (საძაგლიშვილი) მსახურება გორის კათედრაზე (1900-1902 წლები)", ელდარ მამისთვალიშვილი (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი) – „პიპაი ქვენიფნეველის ელჩობა ეგვიპტეში იერუსალიმის ქართული სიწმინდეების დასახსნელად", იოსებ ალიმბარაშვილი (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი) – „ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია", მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) (საქართველოს საპატრიარქო, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია) – „XX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში ეკლესიის დევნის ისტორიული ფაქტები თეკლათის დედათა და მთავარანგელოზების კუნძულის მამათა მონასტრების მაგალითზე", მღვდელმა ალექსანდრემ (შელკაჩოვი) (წმიდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, პროფესორი, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კათედრის გამგე) – „წმიდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის გამოცდილება უახლესი ისტორიის შესწავლის საქმეში და საგამომძიებლო საქმეთა გაცნობის დროს წარმოქმნილი პრობლემები", გიორგი სოსიაშვილმა (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი) – „მართლმადიდებელი ეკლესია შიდა ქართლში XX საუკუნის პირველ მეოთხედში (უცნობი დოკუმენტების მიხედვით)", პეტრე მალკოვმა (წმიდა ტიხონის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დამატებითი საღვთისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე) – „პატიოსანი ჯვრის სახე ძველ და ახალ აღთქმაში წმინდა მამათა განმარტებების მიხედვით", მაია შაორშაძემ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) – „საისტორიო მასალები ქართლის მთავარეპისკოპოსის, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტ ბესარიონის მოღვაწეობის შესახებ", ლია ლურსმანაშვილმა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) – „სასულიერო პირთა ზედა სამოსის კვლევის საკითხები (ჩოხა)", ვლადიმერ ბურეგამ (კიევის სასულიერო აკადემიის პრორექტორი, დოქტორი) – „კიევის სასულიერო აკადემიის წმინდანთა დასი: ხსენების დღის დადგენა და იკონოგრაფია", დიაკონმა იოანემ (ბონდარენკო) (საქართველოს საპატრიარქო, სამთავისისა და გორის ეპარქია) – „ტერმინ „დიოფიზიტობის" მართლმადიდებლური გაგება ნესტორიანულ „დიოფიზიტობასთან" პარალელში", მანანა ბუკიამ (თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) – „ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცული ღირსი ანტონ ჭყონდიდელის უცნობი ქადაგებები", სოფიო ანდღულაძემ (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) – „საერო და სასულიერო მოღვაწეთა ნააზრევის ურთიერთმიმართების საკითხისათვის (ვაჟა-ფშაველასა და ეპისკოპოს სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის შემოქმედების მიხედვით)", ქეთევან პავლიაშვილმა (თსუ-ის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) – „საეკლესიო განხეთქილების მცდელობა – „პროგრესისტ" და „რეაქციონერ" სამღვდელოთა დაჯგუფებანი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში (XX საუკუნის 20-იანი წლები)", დავით პავლიაშვილმა (თსუ-ის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) – „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობების

ისტორიიდან", მაღალყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა)

(საქართველოს საპატრიარქო, სამთავისისა და გორის ეპარქია) – „სამთავისის სამონასტრო კომპლექსის ისტორიის ამსახველი ახლად აღმოჩენილი მასალები, გიორგი მახარაძემ (საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის დეპარტამენტი, დოქტორი) – „უახლესი აღმოჩენები სამთავისის სამონასტრო კომპლექსიდან", დავით ბერიკაშვილმა (საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის დეპარტამენტი, დოქტორი) – „მხატვრული კერამიკა სამთავისის სამონასტრო კომპლექსიდან".

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო კრებულის „მასალები ქართულ საეკლესიო ტერმინთა ისტორიისათვის" წარდგინება, ჩატარდა წირვა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში და შედგა კონფერენციის საზეიმო დახურვა.

– ამ კონფერენციაზე შედგა პირველი კრებულის წარდგინება „მასალები ქართულ საეკლესიო ტერმინთა ისტორიისთვის", რომელიც რელიგიით დაინტერესებული ყველა პირისთვის საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან ეს არის პირველი სერიოზული ნაშრომი ქართული საეკლესიო ტერმინოლოგიის დადგენა-კვლევის სფეროში. კონფერენციის მონაწილეები ეწვივნენ სამთავისის სამონასტრო კომპლექსს, სადაც დღემდე მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები და აღდგენითი სამუშაოები. სამთავისისა და გორის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) და ქართველმა არქეოლოგებმა სტუმრებს გააცნეს აღნიშნულ სამუშაოთა ჩატარებისას მიკვლეული უახლესი არქეოლოგიური და ისტორიული მასალები, – განმარტა ღონისძიების კოორდინატორმა ნათია გოგუაძემ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი კახეთში; 2. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 3. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 4. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში; 8. შავი ფერის ალმასი; 9. სოკოების შემსწავლელი მეცნიერება; 11. „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 14. პერუს დედაქალაქი; 16. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 19. შეძლებული გლეხის სახელწოდება 80-იანი წლების საბჭოთა კავშირში; 21. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 7. ლუდსახარში საქართველოში; 10. ქართული მინერალური წყალი; 13. ეთიოპიელი მარათონელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 15. გულის მუშაობის ნორმალური რიტმის დარღვევა; 18. აზერბაიჯანული მაწონი; 20. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი; 22. უბანი ქუთაისში; 23. კოსმოდრომი რუსეთში; 24. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

შვეულად: 1. მექა; 2. ემი; 3. კორონაცია; 4. მესხი; 5. კაზალსი; 8. რალი; 9. წალკოტი; 10. კაბინეტი; 12. სხალთა; 13. ტრალი; 15. ციცქა.

თარაზულად: 1. მაღრაძე; 6. მოწამეთა; 7. ქართუ; 10. კლოდი; 11. ქლესა; 13. ტოკაი; 14. მოცვი; 16. ლემა; 17. არქტიკა; 18. იგრიკა.

**კროსვორდი ბ**

შვეულად: 1. ვიში; 2. ვარდი; 3. მთიები; 5. ლარგო; 6. ჩუქურთმა; 8. კოპაკაბანა; 10. მინერვა; 12. რეზიუმე; 14. მოსტრა; 15. ფესახი; 16. პრადო.

თარაზულად: 1. ვლტავა; 4. ვლასიჩი; 7. პურადი; 9. ბოჟოლე; 11. ეპარქია; 12. რექვიემი; 13. დევიზი; 17. სკოპიე; 18. ნანა; 19. ამპლიტუდა; 20. სავოიარი.

# სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების საერთაშორისო ინსპექტორების მეორე ჯგუფი გაემგზავრება



სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების საერთაშორისო ინსპექტორების მეორე ჯგუფი გაემგზავრება. ინფორმაციას ამის შესახებ ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია ავრცელებს.

პირველმა ჯგუფმა მუშაობა მიმდინარე კვირას უკვე დაიწყო. საერთაშორისო ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ ქიმიური იარაღის განადგურება მიმდინარეობს.

გარდა სხვა და სხვა საშუალებებისა, როგორც ჩანს დამასკოს ხელ აქვს 1000 ტონაზე მეტი ნერვულ -პარალიტიკური საშუალება ზარინი.

რუსულ-ამერიკული შეთანხმების მიხედვით, სირიას ქიმიური იარაღის გამოყენების საშუალება 2014 წლის ზაფხულამდე უნდა მოესპოს.

ირანული მედიის ცნობით კი, ირანი სირიის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერ პირობას უარყოფს.

ორშაბათს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი უფრო გახსნილი იქნება სირიის შესახებ „ჟენევა ორი" კონფერენციაში ირანის მონაწილეობასთან დაკავშირებით, თუ ეს ქვეყანა 2012 წელს გაკეთებულ განცხადებას დაუჭერს მხარს.

2012 წლის ივნისის „ჟენევის კომუნიკეში" გარდამავალ მმართველ ხელისუფლების შექმნაზეა მოწოდება გაკეთებული, თუმცა ღიად რჩება საკითხი თუ როდის უნდა დატოვოს ასადმა ხელისუფლება. შეთანხმებაში საუბარია, რომ გარდამავალი მთავრობა დამასკომ და ოპოზიციამ ერთხმად უნდა აირჩიოს.

„თუ ჩვენი მონაწილეობა პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება, მაშინ ნებისმიერი პირობის წარმოყენება მიუღებელია და ჩვენ ამ პირობებს არ ვღებულობთ",-განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა მარზიე აფხამმა.

შეგახსენებთ, რომ სირიის შესახებ წინა კონფერენციაში ირანი მონაწილეობას არ იღებდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# „ფემენმა“ ესპანეთის მთავრობის მუშაობა ჩაშალა



ქალთა მოძრაობა „ფემენის“ აქტივისტებმა, ესპანეთის პარლამენტში გამართული საპროტესტო აქციით, იუსტიციის მინისტრ ალბერტო გალიარდონის გამოსვლა ჩაშალეს. წელამდე გაშიშვლებული ორი გოგონა სხდომაზე შეიჭრა სკანდირებით: „ხელები შორს ჩვენი ვაგინისგან!“, – ამით აქტივისტებმა აბორტის გაკეთებაზე ქალების უფლებას მხარი დაუჭირეს.

„რელიგიური სექტა „ოპუს დეის“ აქტიურმა წევრმა, იუსტიციის მინისტრმა ალბერტო გალიარდონმა, ესპანელ ქალებთან მიმართებაში ყალბი კათოლიკური მორალის კანომდებლობით განმტკიცება გადაწყვიტა და აბორტი ყველა შემთხვევაში აკრძალა, „გაუპატიურებისა“ და „დედის სიცოცხლისთვის რისკის“ შემთხვევის გარდა“, – აცხადებს „ფემენი“.

აქტივისტების აზრით, „კათოლიკური მორალის შეტევა“, ქალთა უფლებებზე პირდაპირ თავდასხმსა წარმოადგენს.

# უცხოელ გეებსა და ლესბოსელებს სპარსეთის ყურის ქვეყნებში შესვლას აუკრძალავენ



სპარსეთის ყურის ქვეყნები, სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში პოზიციას ამკაცრებენ. ისინი აპირებენ შემოიღონ აუცილებელი სამედიცინო „ტესტი ჰომოსექსუალიზმზე“, რომელიც ამ ქვეყნებში შემოსვლის მსურველმა ყველა ტურისტმა უნდა გაიაროს, გაარკვიეს ჟურნალისტებმა.

ტესტის დადებითი შედეგის შემთხვევაში, უცხოელებს სპარსეთის ყურის ყველა ქვეყანაში შესვლა აეკრძალებათ, „დეილი მეილი“ ინფორმაციას კუვეიტის მთავრობის ინკოგნიტო ჩინოვნიკზე დაყდნობით ავრცელებს. სწორედ ამ ქვეყანაში ტესტის შესაქმნელად სამუშაოები მიმდინარეობს.

ანონიმური ჩინოვნიკს ინფორმაცია, კუვეიტის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, იუსუფ მინდკარმა დაადასტურა. მისი თქმით, ზომები გამკაცრდება გეების გამოსავლენად და შემდგომში მათ კუვეიტში და რეგიონის სხვა ქვეყნებში შესვლა აეკრძალებათ.

ამ დროისთვის, ჰომოსექსუალური კავშირები აკრძალულია მსოფლიოს 78 ქვეყანაში, მათ შორის სპარსეთის ყურის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბაჰრეინი, კუვეიტი, ყატარი, საუდის არაბეთი და არაბეთის გაერთიანებული ემირატები. კუვეიტში ჰომოსექსუალიზმი ათწლიანი ციხით ისჯება.

# ყაზახი მამაკაცი საკუთარ ქორწილში გარდაიცვალა




ყაზახეთში სასიძო საკუთარ ქორწილში ცუდად გახდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა, – იტყობინება „ნიუსრუ“.

ტრაგედია ქვეყნის დასავლეთში, ჟანგალის რაიონში, დაბა ჟანგალაში მოხდა. საავადმყოფოში ახალგაზრდა პირდაპირ კაფედან მოხვდა, სადაც საზეიმო ღონისძიება იმართებოდა.

„სასიძომ ქორწილის მიმდინარეობისას თავი ცუდად იგრძნო და გონება დაკარგა. მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერ უშველეს“, – უთხრეს ჟურნალისტებს პოლიციაში. წინაწსარი მონაცემებით, სიკვდილის მიზეზი, წნევის მკვეთრი მატება გახდა.

„ნოვოსტი კაზახსტანა“ განმარტავს, რომ სასიძო 1986 წელს იყო დაბადებული. ის ფოტოგადაღებების დროს ცუდად გახდა; მოგვიანებით ექიმებმა განაცხადეს, რომ ახალგაზრდას გულმა ულალატა.

# ავღანეთში „თალიბანის“ 11 მებრძოლი მოკლეს

ავღანეთში „თალიბანის“ 11 მებრძოლი მოკლეს ასევე დაპატიმრებულია რვა თალიბი. სპეცოპერაცია ავღანური არმიის, პოლიციისა და საერთაშორისო ძალების ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა. მოძრაობის წინაალმდეგ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციები ავღანეთის 12 პროვინციაში ჩატარდა, მათ შორის ჰელმანდის, გერათის, ზაბულისა და ნანგარხარის პროვინციებში.



ალსანიშნავია, რომ ამ დილით თალიბებმა ავღანურ და ბრიტანულ ბაზა „შორაბზე“ იერიში მიიტანეს. ბაზა ჰელმანდის პროვინციაში მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ სპეცსამსახურება იერიშის შესახებ წინასწარ იცოდნენ მსხვერპლის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

იერიშის დროს სულ მცირე შვიდი ადამიანი დაღუპა და მრავალი დაიჭრა.

ამ ფონზე, ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ მალე შეუთანხმდება ქაბულს ავღანეთში შეერთებული შტატების ჯარების მომავალ როლზე. საქმე ეხება პერიოდს მას შემდეგ, რაც 2014 წლის მიწურულს ავღანეთს დატოვებს უცხოელი სამხედროების უდიდესი ნაწილი.

იმედი, რომ შეერთებული შტატები მალე მიაღწევს ქაბულთან თანხმობას ავღანეთში ამერიკელი სამხედროების მომავალ როლზე, სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა მერი ჰარფმა გამოთქვა. მან ვაშინგტონში ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ორი მხარე მოლაპარაკებებზე წინსვლას აღწევს:

„მუშაობა მიმდინარეობს ავღანელებთან უსაფრთხოების შესახებ ორმხრივი შეთანხმების გასაფორმებლად. გვჯერა, რომ ამ შეთანხმების მალე ხელმოწერა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. ერთი მიზეზი ის არის, რომ აშშ-მა და ნატომ თავიანთი გეგმები უნდა მოამზადონ. ავღანეთის ჯარებმა დიდი პროგრესი განიცადეს თავიანთი შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, მაგრამ ავღანეთს სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა შექმნას ჯარები, რომლებსაც შეეძლებათ თავიანთი ქვეყნის დაცვა და მოსახლეობის დაცვა“.

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ეს გამოსვლა რამდენიმე საათში მოჰყვა ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის კრიტიკულ განცხადებას აშშ-ისა და ნატოს მისამართით. კარზაიმ ისინი ავღანეთის სუვერენიტეტის არაერთხელ დარღვევაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ არაუგვიანეს ერთი თვისა, მოიწვევს უხუცესთა საბჭოს, ანუ ლოია ჯირგას, აშშ-თან ავღანეთის დაგეგმილ ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად.

ჰამიდ კარზაის თქმით, ავღანელ ხალხს სურს შეთანხმება შეეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან, მაგრამ „ამ მეგობრობითა და შეთანხმებით დაცული უნდა იყოს ავღანეთის ეროვნული ინტერესები. ეროვნული ინტერესები ხალხის უსაფრთხოებასაც გულისხმობს. ხალხი დაცული უნდა იყოს თალიბანისა და ტერორისტების მუქარისაგან და, ამასთანავე, შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ დაბომბვისა და მათ მიერ კანონის დარღვევისგან. ამის გამოა, რომ აქამდე ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას. ასე რომ, შეერთებულმა შტატებმაც უნდა გადმოდგას ჩვენკენ ნაბიჯები. თუ ღვთის ნებაა, მალე, არუგვიანეს ერთი თვისა, შევკრებთ ლოია ჯირგას. რაც უნდა გადაწყვიტოს ხალხმა, მთავრობა, ბუნებრივია, მას დაემორჩილება“.

შეერთებული შტატებისა და ნატოს მიმართ ჰამიდ კარზაის კრიტიკული განცხადება მოჰყვა შეკითხვას ავღანეთში, ნანგარჰარის პროვინციაში, ნატოს მიერ 5 ოქტომბერს განხორციელებულ საჰაერო დარტყმაზე. ქაბული აცხადებს, რომ დაიღუპა ხუთი სამოქალაქო პირი, მაშინ როცა, ნატოს განმარტებით, საჰაერო იერიში მიმართული იყო მეამბოხეების წინააღმდეგ, რომლებიც ემზადებოდნენ უცხოელი ჯარისკაცების მიერ გამოყენებულ აეროპორტზე თავდასხმისათვის. ნატო აცხადებს, რომ გამოიძიებს ამ ინციდენტს.

მოლაპარაკება შეერთებულ შტატებსა და ავღანეთს შორის შეთანხმებაზე, რომელზეც, როგორც ირკვევა, ახლა ლოია ჯირგამ უნდა იმსჯელოს, დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო. ცნობების თანახმად, ტექსტზე მუშაობა თითქმის დასრულებულია. საინფორმაციო სააგენტო „ასოშიეიტიდ პრესის“ ცნობით, აშშ-ისა და ავღანეთის წარმომადგენლები ორშაბათს მოლაპარაკების მორიგ რაუნდზე შეიკრიბნენ.

ავღანეთში ამჟამად 87 000-მდე უცხოელი ჯარისკაცი იმყოფება, მათ შორის – 52 000 ამერიკელი და 1500-ზე მეტი ქართველი. უცხოელი სამხედროების უმრავლესობა ავღანეთის ტერიტორიას მომავალი წლის ბოლომდე დატოვებს, – აცხადებს რადიო „თავისუფლება“.

# ბარაკ ობამა მზად არის კონგრესთან მოლაპარაკებები დაიწყოს




ბარაკ ობამა მზად არის კონგრესთან მოლაპარაკებები დაიწყოს, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რესპუბლიკელები ეკონომიკურ მუქარებს შეწყვეტენ.

ამის შესახებ მან თეთრ სახლში გაკეთებულ მორიგ მიმართვაში განაცხადა, რასაც რესპუბლიკელი კონგრესმენის, ჯონ ბონერის კრიტიკა მოჰყვა.

დილით ბონერმა რესპუბლიკელ კონგრესმენებთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვალის ზღვრის აწევას რესპუბლიკელი კონგრესმენები მხარს მანამ არ დაუჭერენ, ვიდრე პრეზიდენტი ობამა დეფიციტის შემცირებაზე მოლაპარაკებებს არ დაიწყებს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური მთავრობა მეორე კვირაა არ ფუნქციონირებს, ამის მიზეზი მის დაფინანსებაზე რესპუბლიკელებისა და დემოკრატების შეუთანხმებლობა გახდა.

# დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალი დაიწყო



9 ოქტომბრის ღამეს დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალი დაიწყო, რომელიც მზის პლაზმის ამოფრქვევამ გამოიწვია. მეცნიერების აზრით, მასების კორონარულ ამოფრქვევას დედამიწის მაგნოტოსფეროს რყევა მოჰყვა.

ექსპერტების პროგნოზით, მაგნიტური ქარიშხალი 10 და 11 ოქტომბერს გაგრძელდება. შაბათკვირისთვის ვითარება სტაბილური გახდება.

მაგნიტურ ქარიშხალს ხშირად თავის ტკივილი, შაკიკი, გულისცემის გახშირება, უძილობა, წნევის ვარდნა და შრომისუნარიანობის დაქვეთება ახლავს თან. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ მაგნიტური ველის მერყეობისას კაპილარებში სისხლის მიწოდება ნელდება, რაც ქსოვილის ჟანგბადით შიმშილს იწვევს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 10 ოქტომბეიი**

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **09.10 10** საბ. ან/სერ."" კრიპტო სუპერ ძაღლი" **10.15** საბ/მხ.ფ "**ნენსი დრიუ**" **12.40** მხ.ფ "**დედა**" **14.30** ტ.სერ "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" **17.55** ტ.სერ "**ზღვარს მიღმა**" **19.00** "სამხედრო გადაცემა" **19.30** დ/ფ "დიზაინი" **20.50** პოლიტიკური თოქ-შოუ **22.20** "უცნობი მუსიკა" **00.20** მხ.ფ "**მე ვარ ლეგენდა**"

**08.00, 10.00, 12.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – პ/გ "საქართველოს ევროპელი დემოკრატები" (ოთხშ. გ/ჩვ) **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "ვენა" **14.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **15.00 ფეხბურთი** – ევროპის **21** წლამდე ფეხბურთელთა შესარჩევი ეტაპის მატჩი: **საქართველო – ჰოლანდია** I-II ტაიმი (პ/რ) **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – "ეროვნულ დემოკრატიული პარტია" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) (პ/ე) **22.00** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.**14.40** კაცების შოუ (**05.10.13** გ/ჩ) **15.05** კაცების შოუ (გაგრძელება) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **19** სერ. **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**მეოთხე დონის კონტაქტი**" (მ.იოვოვიჩი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ.)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ "**მონანიება**" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05, 18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "დავითი და კონსტანტინე" **11.25, 14.45** ფოტოგალერეა **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ალყა**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.45** დოკ/ფ "სიაუშ ქართველი". **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.35** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - ანს."მამული" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მოსურავე**" **20.40** ძილი ნებისა **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ/ფ "**წერილი ნაძვებს**" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ნუცას სკოლა**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "რთული გზა"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**10 ოქტომბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6617 | ევრო — 2,2556 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6605 | 100 რუსული რუბლი — 5,1457 |

## ამინდის პროგნოზი 10 ოქტომბრისთვის





# მალე!

## ქართული დეტექტივი

### ტომი 3

### იორამ ჩადუნელი

## საზღაური

### უკვე გამოსულია

ტომი 1 ............ მგლის ბილიკი
ტომი 2 ............ შავი ვარდი

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები






## მალე! მალე! მალე! მალე!

### „ახალ თაობასთან“ ერთად

### ტომი 4

## ფრანგული ზღაპრები

### მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


# „მაიაკოვსკი და საქართველო“ — ლიტერატურული ფესტივალი საქართველოში



**საქართველო ლიტერატურულ ფესტივალს მასპინძლობს, რომელსაც „მაიაკოვსკი და საქართველო" ეწოდება და ის გამოჩენილი რუსი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან 120-ე წლისთავს ეძღვნება.**

პროექტი „მაიაკოვსკი და საქართველო“ ხორციელდება ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ ინიციატივით და საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის“ მხარდაჭერით.

როგორც „რუსული კლუბის“ პიარმენეჯერმა ნინო წითლანაძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რუსი ლიტერატორების დელეგაციას შეადგენენ ალექსანდრე ებანოიძე (მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“ მთავარი რედაქტორი); ოლეგ ხლებნიკოვი (პოეტი, „ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე); ანა საედ-შახი (პოეტი, მწერალი, მოთხრობის „ლილი ბრიკის უკანასკნელი დღე“ ავტორი); ფარიტ ნაგიმოვი (პროზაიკოსი, დრამატურგი, რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი); ელენა ჟირნოვა (ჟურნალისტი, ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ საორგანიზაციო მდივანი); ნიკოლოზ სვენტიცკი (საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბი“ პრეზიდენტი.

ფესტივალთან დაკავშირებით, თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტიში“ გაიმართა რუსი სტუმრების პრესკონფერენცია თემაზე „ვლადიმირ მაიაკოვსკი, როგორც კულტურული ხიდი რუსეთსა და საქართველოს შორის“. როგორც შეხვედრაზე ითქვა, ფესტივალის ფარგლებში დაიგეგმა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“ სპეციალური ნომრის პრეზენტაცია მწერალთა სახლში, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ვლადიმერ მაიაკოვსკისა და საქართველოს თემატიკას. მთარგმნელი ნინო ქოქოსაძე წარმოადგენს მაიაკოვსკის პოემის „ღრუბელი შარვლით“ ახალ თარგმანს, ასევე შეხვედრაზე თავიანთი ლექსების წაკითხვის სურვილი გამოთქვეს ლია სტურუამ, შოთა იათაშვილმა და ნიკა ჯორჯანელმა.

ეკა ირემაშვილი

# სოსო ლიპარტელიანი სამბოს საერთაშორისო ფედერაციაში დაასაქმეს




საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი სოსო ლიპარტელიანი სამბოს საერთაშორისო ფედერაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. სანკტ-პეტერბურგში გამართულ 25-ე საიუბილეო საარჩევნო კონგრესზე, 96 ეროვნული ფედერაციის 207 დელეგატი მონაწილეობდა. კონგრესმა ფედერაციის პეზიდენტად ვასილი შესტაკოვი მეორე ვადით აირჩია.

კონგრესმა წარმოადგინა სამბოს უახლოესი კალენდარი, სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და ოლიმპიურ თამაშებში გაწევრიანების პერსპექტივა. ხუთივე კონტინენტის სამბოს ოჯახის წევრებმა ნიკარაგუას, სეიშელის კუნძულების, სინგაპურის, გვატემალას, ტრინადას, სალვადორისა და ტობაგოს ფიას-ის წევრებად მიღებას მხარი დაუჭირეს.

აღსანიშნავია, რომ სამბოს არსებობის 75 წლის განმავლობაში ფიას სტრუქტურაში საქართველოდან პირველი წარმომადგენელი სწორედ სოსო ლიპარტელიანია. საქართველოს სამბოს თავკაცის მოადგილეები — კოლუმბიისა და მონღოლეთის სამბოს პრეზიდენტები იქნებიან.

სოსო ლიპარტელიანი სამბოს ფედერაციას 2012 წლიდან ხელმძღვანელობს. დაიბადა 1971 წლის 3 თებერვალს ლენტეხის რაიონის სოფელ ხოფურში. არის ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი სამბოში. იყო საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ნინო ქათამაძემ კონცერტები გააუქმა



მომღერალმა ნინო ქათამაძემ რუსეთის ქალაქებში დაგეგმილი კონცერტები გააუქმა. 11, 13 და 15 ოქტომბერს მომღერალს და მის ჯგუფ „ინსაითს“ ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკსა და პეტროპავლოვსკ-კამჩატკაზე ელოდებოდნენ. როგორც კონცერტების ორგანიზატორები განმარტავენ, ღონისძიებების ჩაშლის მიზეზი ტექნიკური პრობლემები გახდა. ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება გადადებული კონცერტები რუსეთის ამ სამ ქალაქში, თუმცა ორგანიზატორთა მტკიცებით, ისინი აუცილებლად ჩატარდება.

სამაგიეროდ, ნინო ქათამაძემ და „ინსაითმა“ პიატიგორსკში გამართულ მუსიკალურ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია მუსიკალურ სამყაროში, პიტერ გებრიელის მიერ არის დაფუძნებული და მასში მონაწილე ყველა მსურველი სრული თავისუფლებით სარგებლობს მუსიკალურ ჟანრში. ამ ფესტივალის მონაწილე ნებისმიერ მსურველს შეუძლია გახდეს, მთავარი კრიტერიუმი ოსტატობა და თვითმყოფადობაა. ამ ფესტივალმა არაერთი მსოფლიო ვარსკვლავი აღმოაჩინა, იგი 31 წელია ტარდება და 27 ქვეყანაში 160 ღონისძიება აქვს ჩატარებული, მათ შორის ავსტრალიაში, საბერძნეთში, დანიაში, საფრანგეთში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, პორტუგალიაში, აშშ-ში, იაპონიაში, თურქეთსა და აფრიკაში. რუსეთი ამ ფესტივალის მასპინძელი პირველად გახდა და მასში მონაწილეობა რუს მომღერლებთან ერთად ქართველმა მომღერალმაც მიიღო.

2 ნოემბრიდან ნინო ქათამაძე საგასტროლო ტურნეს განაახლებს და ამჯერად ისევ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ამ დღეს ნინო ქათამაძე მოსკოვში იმღერებს, 4 ნოემბერს — ჟუკოვსკში, 5 ნოემბერს — ზელენოგრადში, 7 ნოემბერს — ნიჟნი ნოვგოროდში, 8 ნოემბერს — ყაზანში, 11 ნოემბერს — სამარაში, 13 ნოემბერს — უფაში, 15 ნოემბერს — ჩელიაბინსკში და 16 ნოემბერს — ეკატერინბურგში.

გამართავს თუ არა კონცერტს საქართველოში ნინო ქათამაძე, ჯერჯერობით უცნობია.

ეკა ირემაშვილი

# კროსვორდი ა



შვეულად: 1. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 2. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 3. ქვის ხავსი; 5. ქართული ბანკი; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 10. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 12. საქართველოს ეროვნული გმირი; 14. აეროპორტი ქაიროში; 15. პალმის ნაყოფი, ინდისხურმა; 16. წნევისა და მექანიკური ძაბვის საზომი საერთაშორისო ერთეული.

თარაზულად: 1. ისტორიული ქართული სამთავრო შავი ზღვის სანაპიროზე; 4. რაიმეს ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა, მწვავე შეხლა-შემოხლა; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სამი ოსკარის ლაურეატი; 9. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 11. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში; 12. ქართველი ფრენბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 13. მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 17. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 18. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 19. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ძველბერძენი მათემატიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## ყველამ გაითვალისწინეთ!

### წარმატებული დღეა




**ვერძი** — დიდი ხნის ოცნება დღეს აგისრულდებათ. **კურო** — ფული გაქვთ, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **ლომი** — გაგიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა, გელით ხალისიანი შეხვედრა. **ქალწული** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — თავს მიხედეთ, სხვებიც თავიანთ საქმეს მოაგვარებენ. **ღრიანკალი** — საქმე წინ მიდის, ცხოვრება გიხარიათ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც მოდის და თქვენთვის რაღაც მოაქვს. **თხის რქა** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **მერწყული** — მთლიანობაში საინტერესო დღე გამოგივათ, ახალი სტიმული გამოჩნდება. **თევზები** — ვალი გაისტუმრეთ, შემოსავლის ახალი წყარო მალე გამოჩნდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!